


# მხურვალე სალამი ყრილობის დელეგატებს!


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 20 (19462) ◆ პარასკევი, 24 იანვარი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.


**საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გახსნის შესახებ**

დღეს, 24 იანვარს, დილის 9 საათზე საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიხსნება

**საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობა.**

დელეგატთა რეგისტრაცია წარმოებს იქვე 7 საათსა და 30 წუთიდან.

## ოცდამეშვიდე!

**Თ**ᲦᲔᲡ კალენდარზე 24 იანვარია... გავა დრო, და ეს თარიღი ღირსეულ ადგილს დაიკავებს საქართველოს კომპარტიის მდიდარ ისტორიაში. დღეს იხსნება რესპუბლიკის კომუნისტების რიგით ოცდამეშვიდე უმაღლესი ფორუმი, ჩვენი დიდი პარტიული ყრილობა, რომლისათვისაც ესოდენ გულმოდგინებით, განსაკუთრებული პატრიოტული და შრომითი აღმავლობით ემზადებოდნენ მზიურ აჭარასა თუ აფხაზეთში, კავკასიონის მთებზე შეფენილ სოფლებსა თუ მეტალურგთა და ავტომშენებელთა ქალაქებში....

და აი, რესპუბლიკის ყველა კუთხიდან თბილისში ჩამოვიდნენ ყრილობის დელეგატები, რომელთაც თან მოიტანეს თავ-თავიანთი პარტიული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების განწყობილება, ფიქრები და საზრუნავი, გულგასახარი შრომითი პატაკები.

— იანვრის გეგმა ყრილობის დღისათვის შევასრულეთ! — ახეთია ბევრი ნობათის შინაარსი.

ჯერ კიდევ კარგა ხნით ადრე, საქართველოს ზოგიერთმა შრომითმა კოლექტივმა, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის შესახვედრად აქტიური მზადება რომ გააჩაღეს, გამოიჩინა პატრიოტული თაოსნობა — მიმდინარე წლის ორი თვის გეგმა სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულონ, ხოლო რუსთაველ მეფოლადეთა იმ ბრიგადამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ო. ლომიძე თავკაცობს, გადაწყვიტა ერთი სამუშაო ცვლა უსასყიდლოდ იშრომოს და გამომუშავებული თანხა მთლიანად მშვიდობის ფონდში გადარიცხოს. ეს და სხვა პატრიოტული წამოწყებანი ბევრგან აიტაცეს. და თუ დღეს ჩვენი პარტიული ყრილობისადმი მიძღვნილ ყველა პატაკს შევაერთებთ, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის ცხოვრება კიდევ უფრო შინაარსიანი, ორგანიზებული გახდა, კიდევ უფრო გაიზარდა მისი პრესტიჟი და ახლაც ამ ფორუმზე მეტად წელგამართულად, ხელხვავიანად წარდგა.

საქართველოს მრეწველობის მიერ გამოშვებულმა პროდუქციამ შარშან 740 მილიონი მანეთით გადააჭარბა წინა წლის დონეს და 11,4 მილიარდი მანეთი შეადგინა, წარმატებებია მთლიანად ხუთწლედის შესრულებაშიც. ვაჟკაცურად გაისარჯნენ ჩვენი სოფლის მშრომელები, რომელთაც დიდი სიძნელეების მიუხედავად მთელ ხუთწლედში გეგმის გადამეტებით მოიყვანეს ჩაის, ხილის, ციტრუსების, კარტოფილის და მთელი რიგი სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი.

შეუძლებელია ყველა იმ მიღწევის, იმ კეთილშენაძენის ჩამოთვლა, რომლებიც საქართველოს მეცნიერების, ლიტერატურისა და კულტურის მოღვაწეების, საერთოდ, ჩვენი ინტელიგენციის ნაშრომ-ნაღვაწთან არის დაკავშირებული. მათ დიდნაყოფიერი მუშაობა გასწიეს ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, ადამიანთა სულიერი ცხოვრების სრულყოფისათვის, ახალი ადამიანის ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებისათვის, ყოველნაირად შეუწყვეს ხელი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის კიდევ უფრო გაჯანსაღებას, ჯეროვანი წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლას.

დიახ, დღეს საქართველოს კომპარტია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი — თავის ოცდამეშვიდე ყრილობაზე მოვიდა კიდევ უფრო მტკიცე და მონოლითური, მოვიდა იგი ახალი გაბედული გეგმებითა და შთანაფიქრით, იმ მისწრაფებით, რომ კიდევ უფრო გამრავლდეს რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებები ამ ახალ მეთორმეტე ხუთწლედში, რომელიც მეტად რთული და პასუხსაგები საანგარიშო პერიოდი იქნება.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობა იმართება ჩვენი პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში უდიდესი პოლიტიკური მოვლენების წინ. სკკპ XXVII ყრილობისათვის სამზადისმა განსაზღვრა დღევანდელი ჩვენი ცხოვრების შინაარსი, მაჯისცემა და რიტმი. გაცხოველებით, დიდი დაინტერესებით განიხილავენ ყველგან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის, შემოთავაზებული ცვლილებებითურთ პარტიის წესდების, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტებს. კომუნისტები, მშრომელები ამ დოკუმენტების განხილვას მჭიდროდ უკავშირებენ პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას.

ამოცანები, პრობლემები კი ცოტა როდი გვაქვს. ეს ერთხელ კიდევ თვალნათლივ დაადასტურა პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა და საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კონფერენციებმა, რომლებიც კომუნისტთა დიდი აქტიურობით, პრობლემებზე საქმიანი სჯა-ბაასით გამოირჩეოდა. ბუნებრივია, ყველა მთავარ და აქტუალურ საკითხზე საფუძვლიანი ბჭობა ყრილობაზე გაგრძელდება. საანგარიშო პერიოდის შედეგების გაანალიზებისას დელეგატები მთავარ ყურადღებას მიაპყრობენ იმას, თუ როგორ წყდებოდა პრაქტიკულად რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, მშრომელთა ყოფა-ცხოვრებისა და შრომის საკვანძო პრობლემები.

დღეს მეტად ხელშესახებ წარმატებებზე რომ ვლაპარაკობთ, ამასთან კარგად გვესმის, რომ საანგარიშო პერიოდი — ეს ბევრისმეტყველი ხუთწლიანი გზა — სულ იავარდებით როდი იყო მოფენილი. გვქონდა ბევრი უსიამოვნო წუთიც, ჩავარდნებიც, სერიოზული ნაკლოვანებანი როგორც ეკონომიკის გაძღოლის, ისე ადამიანთა აღზრდის საკითხებში.

ჩვენი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მასშტაბების ზრდასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ შრომის, ალმშენებლობისა და ცხოვრების ზოგ უბანზე ზანტად და აუჩქარებლად მიდის საქმე, რომ სხვადასხვაგვარ ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლა კი არ უნდა შენელდეს, არამედ უნდა გაგრძელდეს, თანაც უფრო შეუპოვრად, უკომპრომისოდ!

ვ. ი. ლენინი გვირჩევდა, არ დავკმაყოფილებულიყავით მიღწეულით, მუდამ გვქონოდა უკმარისობის გრძნობა, მარტივი ამოცანებიდან გადავსულიყავით უფრო რთულ, უფრო პასუხსაგებ ამოცანებზე, მთავარი ყურადღება მიგვეპყრო ნაკლოვანებებისათვის, გაუთვალისწინებელ-გაუკეთებელისათვის.

დასამალი არ არის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებს დასჭირდათ ზოგიერთი მუშაკის მიმართ უკიდურესი ზომების განხორციელება. და ეს ისევ ჩვენი პარტიული რიგების სიმაგრესა და სიმტკიცეზე მეტყველებს, რადგან ქედს არ ვიხრით არავითარი ავტორიტეტის წინაშე, ვზრდით მომკითხველობასა და ვაძლიერებთ კონტროლს ყველა დარგში და ყველა უბანზე. მარტო ის, რომ ამ ბოლო საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს არადამაკმაყოფილებლად შეფასდა რესპუბლიკაში 77 ორგანიზაციის პარტჯგუფორგების, პარტკომების, პარტბიუროებისა და მდივნების მუშაობა, სწორედ კომუნისტთა პრინციპულობის, როგორც სხვებისადმი, ისე საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობის გაძლიერების დასტურია.

ამ განწყობილებით, საქმისადმი კრიტიკული და თვითკრიტიკული მიდგომის სულისკვეთებით მოვიდნენ დელეგატები ყრილობაზე. საჭიროა მთლიანად უკუვაგდოთ მიღწეულით ტკბობის, ფუჭი ქება-დიდების და კომპლიმენტების, ნაკლოვანებების მხოლოდ ობიექტური მიზეზებით ახსნის ცდები, ყველაფერს თავისი ნამდვილი სახელი უნდა დაერქვას.

ეჭვი არ არის, რომ სწორედ ამ სულისკვეთებით ჩაივლის დელეგატების საქმიანი და დაინტერესებული ბჭობა ყრილობაზე, რომელიც შეიმუშავებს ვრცელ, მეცნიერულად დასაბუთებულ პროგრამას ყველგან და ყველა უბანზე ჯერ კიდევ არსებული ზოგიერთი ნაკლისა და სიმახინჯის აღსაკვეთად, ყველგან და ყველაფერში სამართლიანობისა და წესრიგის დასაცავად, პარტიული, სახელმწიფო, შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, ჩვენს ეკონომიკაში, მთელს ორგანიზატორულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალ თვალსაჩინო წარმატებათა მოსაპოვებლად.

## საყრილობო ნობათები

● **ბათუმი.** (საქ. კორ.). მანქანათსაშენებელი ქარხნის თერმოკონტეინერების საამქროს კოლექტივმა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულა იანვრის დავალება. ამ თვის დამლევისათვის აქ 2500 კონტეინერი უნდა დამზადებულიყო. მანქანათმშენებლების მეცადინეობით ეს დავალება მთელი ერთი კვირით ადრე შესრულდა.

● **ცხინვალი.** (საქ. კორ.). ქვეყნის ელექტროტექნიკური მრეწველობის ერთ-ერთი წამყვანი საწარმოს — მომინანქრებული სადენის ქარხნის კოლექტივი ღირსეულად ხვდება საქართველოს კომუნისტთა დიდ ფორუმს. აქ წარმატებით შესრულდა საყრილობო სოციალისტური ვალდებულება. ახალი, დიდმწარმოებლური მოწყობილობით შეიცვალა 36 მოძველებული მომინანქრებული დაზგა, რითაც საწარმოს წელიწადში 200 ათასი მანეთი დაეზოგება. ყრილობისწინა დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი მომინანქრების საამქრო, რომელშიც უკვე 30 ათასი მანეთის პროდუქცია დამზადდა.

**ზესტაფონი.** რაიონის სოფლის მშრომელებმა სკკპ XXVII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწიეს, 21 იანვრისათვის გადამეტებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის იანვრის გეგმა. 120 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 150 ტონა ხორცი, 90 ტონის ნაცვლად — 95 ტონა რძე.

**სიღნაღი.** რაიონის მშრომელებმა საყრილობო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით შეასრულეს, 22 იანვრისათვის 263 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 344 ტონა რძე, შარშან შესაბამის პერიოდთან შედარებით 234 ათასი ცალით მეტი კვერცხი, 110 ცენტნერით მეტი ხორცი. პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვა გრძელდება.

● **წითელწყარო.** (საქ. კორ.). ყველ-კარაქის ქარხანა, რომელსაც ნ. ნატროშვილი ხელმძღვანელობს, რაიონში ერთ-ერთი დიდი საწარმოა. იგი, ყოველწლიურად 13-14 ათას ტონა რძეს გადაამუშავებს ხოლმე. წლეულს კი უფრო მეტს — 14.700 ტონის გადამუშავებას ვარაუდობენ.

ქარხანა რიტმულად რომ მუშაობს, იმის შედეგია, რომ აქ მტკიცე შრომის დისციპლინა და ორგანიზებულობა სუფევს.

ისე როგორც შარშანდელი, მთლიანად ხუთწლედის საწარმოო დავალება აქ პირნათლად და გადამეტებით შეასრულეს. უფრო ნაყოფიერია წლევანდელი იანვარი. ქარხნის კოლექტივმა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გახსნამდე ერთი დღით ადრე მეთორმეტე ხუთწლედის პირველი თვის დავალება 150 პროცენტით შეასრულა. 1.000 ტონის ნაცვლად 1.200 ტონა რძე გადაამუშავა.

## ვ. ი. ლენინის ძეგლი გვირგვინებით შეამკეს

**ᲛᲝᲬᲘᲬᲔᲑᲘᲗ** და ღრმა სიყვარულით მიაგეს პატივი დიდი ლენინის ხსოვნას საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მონაწილეებმა.

...ფერადოვანი ტრანსპარანტებით, წითელი დროშებით, ყვავილებით დამშვენებულა რესპუბლიკის დედაქალაქის მოედანი, რომელიც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის სახელობისაა. 23 იანვარს, საქართველოს კომუნისტთა ფორუმის მუშაობის დაწყების წინ, აქ ტრადიციისამებრ მოვიდნენ ყრილობის დელეგატები, რათა გამოეხატათ უსაზღვრო სიყვარული მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელისადმი, დაედასტურებინათ ურყევი ერთგულება ლენინური კომუნისტური პარტიის იდეალებისადმი.

მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, საბჭოთა არმიის მეომრების საუკეთესოთა შორის საუკეთესო წარმომადგენლები გამოგზავნეს კომუნისტებმა რესპუბლიკის პარტიულ ყრილობაზე.

ორკესტრები ასრულებენ საზეიმო მელოდიებს. გრანიტის კვარცხლბეკთან გარინდულა საპატიო ყარაული.

...15 საათია. მოედანზე გაისმის ბეთჰოვენის „აპასიონატას" დიდებული მელოდია. საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის დელეგატები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებისა და წევრობის კანდიდატების ამხანაგების ჯ. ი. პატიაშვილის, გ. ა. ანდრონიკაშვილის, გ. დ. გაბუნიას, პ. გ. გილაშვილის, გ. ნ. ენუქიძის კ. ა. კოჩეტოვის, ბ. ვ. ნიკოლსკის, ტ. ვ. როსტიაშვილის, დ. ლ. ქართველიშვილის, ო. ე. ჩერქეზიას ზ. ა. ჩხეიძის, ნ. ა. ჭითანავას, ბ. ვ. ადლეიბას, გ. დ. მგელაძის, თ. ი. მოსაშვილის, ვ. რ. პაპუნიძის, ფ. ს. სანაკოევის, ჟ. კ. შარტავას მეთაურობით გვირგვინით ამკობენ ვ. ი. ლენინის ძეგლს.

მათთან ერთად იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული პრესაში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი პ. კ. რომანოვი, გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის" მთავარი რედაქტორი ა. ა. ბარნოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემი-

(დასასრული მე-2 გვ.)

## ვიზას აძლევს დრო

**23 იანვარს რესპუბლიკის კომუნისტთა ფორუმის დელეგატებს უჩვენეს ახალი ქართული მხატვრული ფილმი „ერთ პატარა ქალაქში".**

**ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ** სულისკვეთება რომელიც პარტიას შეაქვს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში, პირდაპირ ასახვას ჰპოვებს საბჭოთა საქართველოს კულტურის განვითარებაშიც. შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულებით, სიტყვისა და საქმის ერთიანობით, პარტიისა და ხალხის წინაშე დიდი პასუხისმგებლობით გამოირჩევიან ქართული კულტურის მოღვაწეთა ნაწარმოებები. მიაჩნიათ, რომ პირადად მათდამია მიმართული სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტის სტრიქონები საზოგადოების ცხოვრებაზე ხელოვნების გავლენის გაძლიერების, მათი შემოქმედების იდეური მიმართულებისათვის პასუხისმგებლობის გადიდების შესახებ. სწორედ ამ პოზიციებიდან მუშაობდნენ ფილმზე „ერთ პატარა ქალაქში" მისი შემქმნელები.

ფილმში, რომელიც გადაიღო სსრ კავშირის სახალხო არტისტმა გ. ლორთქიფანიძემ დრამატურგ ა. ჩხაიძესთან თანამეგობრობით დაწერილი სცენარით, ავტორები გვაცნობენ ფოთის ექსპერიმენტს, რომელიც უშუალოდ ეხება ადამიანთა სოციალური და ზნეობრივი ურთიერთობის სფეროს. გაიაზროს ცვლილებები მათ შეგნებაში — ასეთი მიზანი დაისახა გადამღებმა ჯგუფმა ახალ მხატვრულ ფილმში.

ფილმში მონაწილეობენ საქართველოს თეატრისა და კინოს პოპულარული მსახიობები ტრისტან ყველაიძე, გოგი ხარაბაძე, გოგი ქავთარაძე, ქეთინო კიკნაძე, გრიგოლ წიტაიშვილი, თენგიზ ჩანტლაძე და სხვები.

ყრილობის დელეგატებმა გულთბილად მიიღეს სტუდია „ქართული ფილმის" ახალი ნამუშევარი.

• • •

**ᲘᲛᲐᲕᲔ** დღეს რესპუბლიკის კომუნისტთა ფორუმის დელეგატები თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში დაესწრნენ ოპერის „აბესალომ და ეთერის" ახალ დადგმას.

(საქინფორმი).

## მტკიცე მშვიდობის პროგრამა

**ᲪᲐᲚᲙᲔ** ბროშურად გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის 1986 წლის 15 იანვრის განცხადება.

ბროშურა გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ.

(საკდესი).



საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის ი. ვასილკოვსკის პლაკატი.

ვახტანგ გორგანელი

# ტრიბუნაზე საქართველო ადის

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას

მზეო, ამ დღეს რა ნათელი მიუმატე,
ეს რამდენი გადაშალე ვარდი.
გამარჯვების და მშვიდობის ტრიბუნაზე
საქართველოს უკვდავება ადის.
შევაგებოთ ოქროს წუთებს გული წმინდა
და მხარდამხარ გაჰყვეს როგორც ტალღა.
ერთხელ კიდევ გადავხედოთ ტრიბუნიდან,
რა ვიყავით და რანი ვართ ახლა.
გაჩენიდან ქომაგი ვარ შენი ბედის,
თან გვდევს ერთი მადლიცა და დარდიც.
ტკივილიც და სიხარულიც მშობელ ქვეყნის
სულის ფსკერის ზედ ლადარზე გადის.
იმ წუთს ვლოცავ, მინდა მისი დავტკბე მოსვლით,
ვერ ითვლიდნენ აქ აკვანს და სახნისს,
ყრილობაზე იხილავდნენ ომალოში
მოჭარბებულ მოსახლეთა საკითხს.
გაფუვდეს და დაიქარგოს ბელტი ბელტზე,
მისი სუნთქვა მთებს თორივით ეცვათ.
შატილელთა ბუხრების კვამლს ვერ იტევდეს
მნათობებით მოჭედილი ზეცა.
კვლავაც მეტი ცეცხლი ზრუნვას, სიტყვას — სითბო,
ბალად ვაქცევთ ჭაობსა და წარაფს,
ოღონდ ქვეყნად მშვიდობა და ძმობა იყოს,
ქველაფერი დიდებულად წავა!
საქმე გვიცდის, ომისათვის ვის სცალია,
დაუბერე ქარო გემის ანძებს.
ჩემო ხალხო, ბევრი გადაგიტანია,
მჯერა, ბირთვულ მუქარასაც დავძლევთ.
ოღონდ წინსვლა, გამეტებით ოღონდ ქროლვა,
თუ მამულის ხარ ხორცი და სისხლი.
ვინც სამშობლოს მიუმატებს ხვავს და დოვლათს,
ჭერუთქმელი სიმღერა ვარ მისი.
თითქოს ფეხი აუდგიათ მთას და მდელოს,
ემალება ცას იების ფერი,
თუ დარბაზში ხვალინდელი საქართველო
შემოდის და მაღლა იწევს შერი.



# ვ. ი. ლენინის ძეგლი გვირგვინებით შეამკეს

(დასასრული)

ის მექანიკის პრობლემათა ინსტიტუტის დირექტორი, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე აკადემიკოსი ა. ი. იშლინსკი, გაზეთ „პრავდის" ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების რედაქტორი, სარედაქციო კოლეგიის წევრი ნ. ა. პოტაპოვი, გაზეთ „იზვესტიის" მთავარი რედაქტორის მოადგილე სარედაქციო კოლეგიის წევრი ვ. ა. არხანგელსკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ბ. ა. მალკოვი, პარტიის ვეტერანები.

ძეგლის კვარცხლბეკი ცოცხალი ყვავილებით შეამკეს.



სურათზე: საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატები გვირგვინებით ამკობენ ვ. ი. ლენინის ძეგლს.

ა. რუხაძისა და ი. ულამოვის ფოტო.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა.

## ჩვეულებრივი, შრომისმოყვარე და გონიერი ადამიანები

მიწის მუშა რომ ათადან ბაბადან ყველაზე ჰუმანური და მშვიდობიანი გუნება-განწყობილების კაცია, ამას ჩვენი მტკიცება არ სჭირდება. არც ის არის უცნობი, რომ სოფელი მაშინ არის ღონიერი, თუ კაცი გონიერია... ამ გონიერში ერთი კაცი კი არა, მთელი სოფელია ნაგულისხმები, რადგან კოლექტიურ მეურნეობაში მიწას შეჭიდებულ ადამიანთა ერთობლივი, შეხმატკბილებული შრომა წყვეტს დიდ საქმეებს და აღონიერებს სოფელს.

ერთ ჩვეულებრივი, შრომისმოყვარე ადამიანებით მდიდარ სოფელზე, უფრო სწორად, ერთ მეურნეობაში გაერთიანებული სამი სოფლის — ალავერდის, კოლოთოსა და ოქიოს შესახებ, იქაურთა სულიერ ავლადიდებაზე გვინდა მოგითხროთ.

ოციოდე წლის წინათ „კომუნისტის" ფურცლებზე ამ მეურნეობის შესახებ საკმაოდ კრიტიკული კორესპონდენცია დაიბეჭდა. კრიტიკამ, ეტყობა, გაჭრა. საერთო საქმე წინ წავიდა, მეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ სამივე სოფლის სახე და აქაურ მშრომელთა გუნება-განწყობილება ერთბაშად ვერ შეიცვალა. ოქიო, სადაც კანტორაა, პრივილეგიურულად ითვლება. ალავერდელები და კოლოთოელები კი მაინც გულნაკლულად გრძნობდნენ თავს.

ერთი წლის წინათ კიდევ მოგვიხდა ოქიოელებზე კორესპონდენციის დაწერა. ამჯერად მათზე ქების მეტი რა გვეთქმოდა, მეურნეობა მეურნეობას ჰგავდა, გეგმებიც სრულდებოდა, მიწის მუშაკნიც კმაყოფილნი იყვნენ და სამივე სოფელიც სოფლებში ითქმოდა.

რაც უნდა მაღალფარდოვანი სიტყვები და ბრძენკაცთა გამონათქვამები მოვიშველიოთ, ჩვენს დროში ყველაზე ნაღდი და დამაჯერებელი მაინც ციფრები და ფაქტებია. მეურნეობის დირექტორი შალვა ბაკურიძე დინჯად ლაპარაკობს, რათა ბლოკნოტში ჩაწერა მოვასწროთ:

— შარშან ვენახების საკმაო ნაწილი დაისეტყვა, მაგრამ 3.578 ტონა ყურძენი მაინც მივყიდეთ სახელმწიფოს, ცენტნერი ყურძენი 42 მანეთი და 97 კაპიკი დაგვიჯდა, სახელმწიფომ კი 56 მანეთი და 56 კაპიკი გადაგვიხადა. საშუალოდ დღეში მუშა 10 მანეთსა და 85 კაპიკს იღებს. ასევე იყო წინა წელსაც. მეთორმეტე ხუთწლედში უფრო მეტის იმედი გვაქვს.

გეგმები რომ სრულდება, ამას რა ჯობია, მაგრამ გასულ ხუთწლედში ოქიოელებისათვის მთავარი ის იყო, რომ ჩამორჩენილობისაგან თავის დაღწევის შემდეგ მუშაკაცი წელში გაიმართა და ხალისი მოემატა.

სამოცდაათს გადაცილებულ ბრიგადირს ბაგრატ ნახუცრიშვილს რომ შევეკითხეთ, კმაყოფილი ხარ თუ არა შარშანდელი შედეგებით-მეთქი, ამაყად თქვა:

— რატომ არ უნდა ვიყო კმაყოფილი, ღარიბები ვიყავით და კოლექტივმა წელში გაგვმართა, ცხოვრება გვასწავლა: ორმოცდათხუთმეტი წელიწადია ტრაქტორის საჭე ხელიდან არ გამიშვია. ბრიგადირი ვარ, მაგრამ ტრაქტორი, ეს მართლაც რკინის ხარი, სულიერივით მიყვარს და რა ვქნა!

— ოჯახში არაფერი გვეჭირს, — კითხვა არ დაგვასრულებინა ბრგადირმა, — უსაქმოდ არავინა ვართ.

— ეს სოფელი ჩანს, რომ საკუთარი ხუთი თითივით იცით...

— ვიცი, რატომაც არ ვიცი. ჩემი და ჩემი ხნის კაცებმა ჩამოვაყალიბეთ კოლექტივი. პირველი კომუნისტებიც ჩვენა ვართ... ჩვენი სოფლის აღზევებაც ჩვენზე იყო დამოკიდებული და ჩავარდნაც ჩვენივე ბრალია.

— როგორა ფიქრობთ, რა არის საჭირო, რომ ყველა ისე მუშაობდეს, როგორც თქვენ და თქვენისთანები — დირექტორმა რომ დაასახელა: ქეთევან გოდერძიშვილი, შოთა გიგაშვილი, მზია თევალიაშვილი, მიტო ნახუცრიშვილი და ბევრი სხვა.

— როგორა გგონიათ, სხვები ჩვენსავით არ მუშაობენ? — გაიკვირვა ბრიგადირმა, — ამ ბოლო წლებში ჩვენ თითქმის აღარა გვყავს უქნარები. ჩემსავით კი არა, ჩემზე კარგად ბევრი მუშაობს...

— იჯარაზე რას იტყვით?

— რა უნდა ვთქვა, კარგი საქმეა განსაკუთრებით მეცხოველეობაში. ზოგ-ზოგებს ჰგონიათ, იჯარა კერძომესაკუთრეობას შეუწყობს ხელსაო. არა, ასე არ არის. აი, ნახავთ, ჩვენი პარტიის ყრილობაზე თუ არ მოიწონებენ ამ მეთოდს. ჩემი აზრით, მეცხოველეობაში, უფრო მეტად მთაში (თუნდაც ბარშიც), საოჯახო იჯარით დიდი საქმე გაკეთდება. რამდენი მეელი პატარა ფერმაა მიტოვებული სოფლებში, შევაკეთოთ, მანქანები მივიტანოთ და ოჯახური იჯარის წესით მოვუაროთ პირუტყვს. ოჯახურ იჯარაში შეიძლება მეზობლებიც, ნათესავებიც ჩავაბათ. ამით რა დაშავდება, სარგებლის მეტს რას ენახავთ?

— მეურნეობაში, სოფლად მთავარი ძალა ხომ რიგითი მშრომელია? თქვენი ცვლა არის სოფელში?

— რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი რიგითი მშრომელი, ჩვენისთანა, ხელებდაკოჟრილი კაცია მთავარი. მას უნდა გაუფრთხილდნენ ხელმძღვანელები. ცვლა როგორ არ მოდის. ახლა რომ პირობები გვაქვს, ასეთი ადრეც რომ ყოფილიყო, სოფლიდან არავინ წავიდოდა — ჩვენს ბრიგადაში 27 ახალგაზრდაა.

— მუშაობა მუშაობაა, მაგრამ კაი დასვენება და გართობაც ხომ საჭიროა?

— რაღა დროს ჩემი გართობაა. დასვენებით კი კაცმა მაშინ უნდა დაისვენოს, როცა საამისოდ დრო ექნება, — თქვა ბრიგადირმა და მაშინვე დასძინა, — ისე კი არ გამიგოთ, რაიმეს ვემდუროდე. კრებებზე ბევრს ვლაპარაკობთ ხოლმე სოფლის წესსა და რიგზე, მაგრამ ზოგჯერ სიტყვა სხვაა, საქმე კი სხვა. ახლა პარტია საკითხს ნათლად და პირდაპირ აყენებს: მარტო სიტყვით კი არა, საქმით, მხოლოდ და მხოლოდ საქმით

# სოფელი ღონიერია...

უნდა დავამტკიცოთ ერთგულება. უსაქმურების ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდესო, რომ ვამბობთ, მერედა, ვინ უნდა დაანთოს ცეცხლი, თუ არა ჩვენ ყველამ? დღენიადაგ უნდა ვზრუნავდეთ ამაზე. თუ არა, მერე გვიანღა იქნება — სოფლად აღარ გვეყოლება ჩვეულებრივი მუშაკაცი, რომელიც ასე საჭიროა ჩვენთვის. განსაკუთრებით უნდა მივუთითოთ სოფლის ისეთ ხელმძღვანელს, რომელიც ისე იქცევა, თითქოს ვერ ამჩნევდეს უსაქმურებს,. რადგან არ უნდა მათს მშობლებს აწყენინოს. ჩვენს მეურნეობაში ბოლოდროინდელმა დირექტორებმა ახალგაზრდების საქმიანობას დიდი ყურადღება მიაქციეს და საქმეც კარგად წავიდა. კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც ლალი გავარდაშვილი ხელმძღვანელობს, ახმეტის რაიონში კი არა, მთელ საქართველოში გაითქვა სახელი. შარშან ოთხი ახალგაზრდა ჯარში წავიდა. წელს მათ მაგივრად შვიდი მოვიდა.

— ახალგაზრდები რით დააინტერესეთ?

— ეგ საქმე მეურნეობის პროფკავშირის თავმჯდომარემ ჩემზე უკეთესად იცის და...

თამარ ჯეჯილაშვილი (პროფკავშირის თავმჯდომარე):

— შარშან ოთხი ახალგაზრდა — ზაზა კუპრავიშვილი, ემზარ სულხანიშვილი, ზაზა მამაჯანაშვილი, ვახტანგ გოდერძიშვილი ჯარში წავიდნენ. დირექციამ, პარტბიურომ და ადგილკომმა გადაწყვიტეს ჯარში წასული ახალგაზრდებისათვის შექმნათ ფონდი. ყოველთვიურად ამ ახალგაზრდებს საშუალო ხელფასი ჩაერიცხებათ ამ ფონდში. ჯარიდან დაბრუნებისა და მუშაობის განახლების შემდეგ მათ ორი წლის საშუალო ხელფასი ერთდროულად მიეცემათ. გარდა ამისა, ახალგაზრდებს მეურნეობა ყოველმხრივ უწყობს ხელს, რომ უმაღლესი განათლება დაუსწრებლად მიიღონ. სათქმელი ისიც არის, რომ ახალგაზრდულ ბრიგადას საშუალება აქვს გაიცნოს ჩვენი რესპუბლიკა, ქვეყანა. შარშან ოცი ახალგაზრდა მეურნეობის ხარჯზე იყო ვოლგოგრადში, წლეულს უფრო მეტი სასიხარულო ამბები ელით ჩვენს გოგო-ბიჭებს.

აი, სწორედ ესენი არიან ჩვეულებრივი მუშაკაცების ცვლა. მათი იმედი აქვს მეურნეობის ხელმძღვანელობას, ისინი დაამუშავებენ ამ ალაზნისპირა მინდვრებსა და ვენახებს, უპატრონებენ ფერმებს. და რაც დღეს არის ალავერდი, ოქიო და კოლოთო, უფრო უკეთესი იქნება ახალი ხუთწლედის ბოლოს. ამ იმედით არის ბევრის მომსწრე მექანიზატორი ბაგრატ ნახუცრიშვილი და ამ იმედს ვინ მოუშლის!

ვ. გოხალიშვილი,
დ. გერგიშვილი.
ახმეტის რაიონი.

# ხსოვნა გვმართებს წარსულისა

მართა პლიევა, პროკოფი სვანიძე, კობა ჩოხელი, თამარ ჟუჟუნია და სხვანი...

თუ ახსოვხართ — ხარ, თუ არ ახსოვხართ — აღარ არსებობ. ზოგი ებღაუჭება უკვდავებას — კლდეზე ან ტაძრის კედლებზე კაწრავს თავის სახელს. ამაო შრომაა. გამოსაჩენ საქმეთა გარეშე ღვაწლი არ არსებობს და ნებისმიერი სახელი და გვარი ბგერებია მხოლოდ უშინაარსო, უქმად წარმოთქმული...

არის სახელები, რომელთა საქმენი საგმირონი უკვე მარადიულია, კაშკაშა და აზრით სავსე, როგორც სიტყვები — სამშობლო, მზე, უკვდავება...

დღეს ჩვენში ბევრია საკოლმეურნეო მოძრაობის მომსწრე და მონაწილე. ახალგაზრდობამ ფილმებით და წიგნებით იცის ის, რაც ჩვენ, უფროსმა თაობამ განვიცადეთ და მოვიპოვეთ.

კოლექტივიზაცია — ჩვენი ქვეყნის პარტიის პოლიტიკა იყო, ჩვენი პარტიის თანმიმდევრული ლენინური პოლიტიკა.

გლეხობამ მუშათა კლასის ერთგულმა ძმობილმა — ფრთა გაშალა, გახდა თავისი თავის მფლობელი, საბოლოოდ რეალიზებულ იქნა ლოზუნგი — გლეხს მიწა, მუშას — ფაბრიკა-ქარხნები. და მოვიდნენ ახალი ადამიანები.

ადამიანები, მიწის მეუფენი, რომლებმაც დაამკვიდრეს ახალი ხანა. დაუბრუნეს საკუთრება მესაკუთრეს.

დიდი წიგნია „კოლხეთის ცისკარი", ვისაც გულდასმით წაუკითხავს, იქ მარტო ერთი კოლმეურნეობის „ცისკარი" არ არის აღწერილი. წიგნში ქართული საკოლმეურნეო მოძრაობის დასაწყისია და იმდენად ტიპურად, რომ მთელი საქართველოს დანახვა შეიძლება... ასე იყო ყველგან, ამერ-იმერში, გლეხკაცმა ცხოვრებას შინაარსი უცვალა.

**მართა პლიევა** მთის შვილი იყო, სულით უდრეკი და გონებით ნათელი. უსწავლელი ქალი (მაშინ ნასწავლსა და გზაგაკვალულს ჩვენ მხარეში იშვიათად ნახავდით). ადრე იგრძნო ახალი ხანა, იბრძოდა ქალთა თანასწორობისათვის და წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ.

საკოლმეურნეო მშენებლობის გარიჟრაჟზე კოლექტიურ შრომაში ჩაება ეს ლაღი, ძლიერი და თვალად ლამაზი ქალი. 1939 წელს თანასოფლელებმა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. ომის დროს ქუხდა მისი სახელი. 70 ათასი მანეთი გადაიხადა სატანკო კოლონის „საქართველოს კოლმეურნის" მშენებლობისათვის, ოსეთში ახლაც ამბობენ, მართას სოფელ როკის კოლმეურნეობაში, რომელშიც სულ 37 კომლი იყო, მეტი ცხვარი ჰყავდა, ვიდრე მთელ ოსეთსო.

ლეგენდარული **კობა ჩოხელი** — ბრძენი კაცი, „კომუნის იდეისათვის" მებრძოლი და ორგანიზატორი, წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეობის დამაარსებელი.

მისი ბრინჯაოს ბიუსტი კოლმეურნეობის დიდებული კულტურის სახლის წინ დგას. ძეგლებად, ქუჩებად, გემებად დარჩნენ ახლა ეს ადამიანები. ხსოვნა გვმართებს წარსულისა...

**ჩოქოლი ქვაჩახიაზე** ამბობდნენ, თვითნასწავლი აგრონომი იყოო. ჩოქოლი აგრონომი კი არა, დაკვირვებული გლეხი იყო, იცოდა მიწის საიდუმლო. მარგვლა — დროზე, მორწყვა — დროზე... „ქვაჩახიას სკოლა" მარტო ოქუმში კი არა, მთელ საქართველოში იყო ცნობილი. სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატი ზუგდიდელი **კოტე სანდუხაძე**, ხობელი ნოვატორი **კოსტა ჯოჯუა**.

**გრიგოლ სხულუხია**, ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალაძის თემის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მოხალისედ წავიდა ფრონტზე და საბჭოთა კავშირის გმირი გახდა... ფაშისტებმა დაწვეს...

**გრიგოლ ჯგუბურია** — საკოლმეურნეო წყობილების თავკაცი, გალში მისი სახელობის კოლმეურნეობაა.

**ანთიმოზ როგავა** — ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, მშრომელი, სოფლის საყვარელი კაცი.

**თამარ ჟუჟუნია** — ორგზის გმირი ქალის წერილები, დარიგება და ახლობლის სიყვარული მხოლოდ დედა-შვილობას შეიძლება შევადარო...

„ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები"... ვინ მოთვლის ახლა ჩვენში სასახელოსა და თავდადებულს... მაგრამ მაინც ვალში ვართ ჩვენ ყველანი, განსაკუთრებით ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკები...

გაგრაში, სოფელ ხევანში ცხოვრობს სამამულო ომისა და მშვიდობიანი შრომის ვეტერანი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, რესპუბლიკაში სახელგანთქმული მეთამბაქოე **პროკოფი სვანიძე**. ახლა პენსიაზეა, თავის ყოფილ პირველ ბრიგადასთან, საკოლმეურნეო შრომასთან კავშირი არ გაუწყვეტია, ეხმარება და დამრიგებლობას უწევს ახალბედა მეთამბაქოებსაც.

სოფლის ცენტრში, ხევანში აღმართულია მისი სკულპტურული ძეგლი. ლამაზი, ნებისყოფიანი სახე და კეთილი გამოხედვა აქვს. ეს ძეგლი დაიდგა მაშინ, როდესაც პ. სვანიძეს მეორედ მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. ერთხელ — თამბაქოს სარეკორდო მოსავლის მიღებისათვის და მეორედ — 1951 წელს. იგი ომის დაწყების პირველი დღიდანვე ებრძოდა მტერს — ბერლინამდე ჩასდია.

დაჯილდოებულია ორი დიდების ორდენით და მედლებით.

ასეთი ძალზე ბევრია ჩვენში, ძალზე ბევრი...

...ის რაც გონებას რჩება, გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ის, რაც გულს რჩება.

გ. ნოდია,
რ. დვალიშვილი.

# წინსვლის ციფრები

## წელი პირველი

● ჩვენი რესპუბლიკა ზედიზედ მეცხრედ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

● სამრეწველო წარმოების მოცულობა 5,1 პროცენტით გაიზარდა, ამოქმედდა 10 პროცენტით მეტი ძირითადი ფონდები, ვიდრე 1980 წელს.

● მრეწველობაში დაინერგა 200-მდე მექანიზებული ნაკადური და ავტომატური ხაზი, კომპლექსურ ავტომატიზაციაზე გადავიდა 80 უბანი, საამქრო და წარმოება.

## წელი მეორე

● რესპუბლიკა კვლავ ჯილდოვდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

● შრომის ნაყოფიერების გადიდებით მიღებული იყო ეროვნული შემოსავლის საერთო მატების 81,2 პროცენტი.

● გეგმის გადამეტებით დამზადდა 220 მილიონ მანეთისაზე მეტი მასობრივი მოთხოვნის საქონელი.

● საექსპლოატაციოდ გადაეცა 181,3 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი — ნავარაუდევზე გაცილებით მეტი.

## წელი მესამე

● რესპუბლიკა ზედიზედ მეთერთმეტედ იმარჯვებს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

● აითვისეს გაზრდილი ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების მქონე ნაკლები ენერგოტევადობისა და მასალატევადობის 187 სახეობის პროდუქციის გამოშვება.

● მწყობრში ჩადგა ექვსი ახალი საწარმო, სოციალურ-კულტურული დანიშნულების მრავალი ობიექტი.

● დაიზოგა 50 მილიონი მანეთის ნედლეული, მასალები, სათბობი, ენერგია.

## წელი მეოთხე

● გეგმის გადამეტებით დამზადდა 277 მილიონი მანეთის პროდუქცია, აქედან 160 მილიონი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი.

● ამოქმედდა 5 პროცენტით მეტი ძირითადი ფონდები, შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 4,9 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მშენებლობაში 4 პროცენტით.

● საექსპლოატაციოდ გადაეცა 84 ლითონსაჭრელი ჩარხი და 54 რობოტი, აითვისეს 200 დასახელების ახალ სახეობათა პროდუქციის გამოშვება.

● რესპუბლიკამ ზედიზედ მეთორმეტედ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

## წელი მეხუთე

● გაუმჯობესდა საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის გამოყენება.

● წარმოების მოცულობის მატების ტემპმა 107 პროცენტი შეადგინა, რაც დიდად სჭარბობს გათვალისწინებულს.

● საექსპლოატაციოდ გადაეცა 47 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ანუ გეგმით გათვალისწინებულზე 4 პროცენტით მეტი.

● რესპუბლიკა კვლავ იმარჯვებს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ამბობენ, ბედნიერება აშენებულით ტკბობაში კი არა, შენებაში, საქმისადმი ნოვატორულ მიდგომაშიაო. სწორედ ასეთი იყო მეთერთმეტე ხუთწლედი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისათვის.

დრო თითქმის შეუმჩნევლად გავიდა. სიტყვასიტყვით მახსოვს ჩემი წერილი საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის წინ, გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე რომ დაიბეჭდა. მაშინ ბევრ რამეს ვპირდებოდით სამტრედიელი კომუნისტები მკითხველებს, და აი დანაპირების შესრულებაზე სიტყვის თქმის ჯერიც დადგა...

პირდაპირ ვიტყვი, საერთო წარმატებული მაჩვენებლებისათვის ბოლო წლებში ჩვენი რაიონი შვიდჯერ ზედიზედ დაჯილდოვდა რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშით, ხოლო სხვადასხვა დარგების მიხედვით — საკავშირო დიპლომებითა და ვიმპელებით.

რა თქმა უნდა, წარმატებები თავისით არ მოვიდა. იგი მიზანმიმართულმა ორგანიზატორულმა და პოლიტიკურმა საქმიანობამ განაპირობა, იმან, რომ პარტიის რაიკომი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები სულ უფრო ეყრდნობოდნენ მუშაობის მოწინავე ფორმებსა და მეთოდებს, ეძებდნენ ახალ-ახალ რეზერვებს საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევისათვის.

აი ზოგიერთი ციფრი: რაიონის მრეწველობაში წინა, მეათე ხუთწლედთან შედარებით ზრდის ტემპმა 138,5 პროცენტი შეადგინა, რეალიზაციამ — 136,3, შრომის ნაყოფიერებამ — 131,6 პროცენტი. გაიზარდა საერთო საიჯარო მშენებლობის მოცულობა 134,9 პროცენტით, ავტოტრანსპორტის მომსახურება — 121,6, ხოლო საქონელბრუნვა 135,9 პროცენტით. გადამეტებით შესრულდა ხუთწლედის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვან უბანზეც — რკინიგზის ტრანსპორტზე. განაღდებულია ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვისა და წარმოების ძირითადი გეგმა-ვალდებულებები. მარტო გასულ წელს 1984 წელთან შედარებით სახელმწიფოს მიეყიდა 11 პროცენტით მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

ვფიქრობთ, ბევრ კეთილ საქმეს ხელი შეუწყო ჩვენთან შექმნილმა შესრულების კონტროლისა და შემოწმების მწყობრმა სისტემამ. იგი კიდევ უფრო დაიხვეწა და სრულყოფილი ხდება სამტრედიის რაიონული პარტიული ორგანიზაციის თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1982 წლის 9 ნოემბრის დადგენილების შემდეგ. ჩვენი ორგანიზაცია ამ მხრივ რესპუბლიკის ერთ-ერთ საბაზო ორგანიზაციად იქნა მიჩნეული.

აქტიურად მოქმედებს პარტიის რაიკომთან შექმნილი მიღებულ გადაწყვეტილებათა ავტორიტეტის ამაღლების სამუშაო ჯგუფი, რომელიც ხელს უწყობს პარტიული დოკუმენტების მომზადების ხარისხის გაუმჯობესებას, ამა თუ იმ საქმის მდგომარეობაზე მათი გავლენის გაძლიერებას. სისტემური გახდა ამ საკითხებზე პარტიული აქტივის სწავლებაც.

მახსოვს, ამ ხუთი წლის წინათ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ წერილში აღვუთქვამდით ხალხთან, შრომითს კოლექტივებთან კავშირის კიდევ უფრო განმტკიცებას, ჩვენი შრომის, ყოფის, ცხოვრების ყველა უბანზე პარტიული კონტროლის გაძლიერებას. და მართლაც, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დღეს პარტიულ კრებებზე, ერთიან პოლიტდღეებზე, შრომითს კოლექტივებში შეხვედრებისას კომუნისტებისა და მშრომელების მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების, სურვილების, წინადადებების რეალიზაციას. რაიკომის პასუხისმგებელი მუშაკების მიერ უფრო ხშირად ხდება მშრომელთა მიღება უშუალოდ სოფლებში, შრომითს კოლექტი-

# სწორად განსჯილი წინ ხედვას აიოლებს

რით მივდივართ ყრილობაზე?

ვებში. სწორედ ადგილებზე საქმის მდგომარეობისადმი კონტროლის ერთ-ერთ ქმედით საშუალებად ვთვლით მშრომელთა წერილებისა და განცხადებების ანალიზს.

ადამიანთა აღზრდა, ჩვენი კადრების, კომუნისტებისა და ყველა მშრომელის პირადი პასუხისმგებლობის გაზრდა უმთავრესი საკითხია ნებისმიერი პარტიული ორგანოს მოღვაწეობაში.

კადრების შერჩევისას უფრო გაბედულად ვეყრდნობით შრომითი კოლექტივების რეკომენდაციებს. ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში თანდათანობით მკვიდრდება კადრებისადმი სათუთი, მზრუნველი დამოკიდებულება, ბოლო ეღება მუშაკთა დაუსაბუთებელ გადაადგილებას და შეცვლას. კადრების გადაადგილება ძირითადად ხდება მაშინ, როცა ეს ნაკარნახევია საქმის ინტერესებით, მუშაობის ამა თუ იმ უბნის განმტკიცების აუცილებლობით. ამავე დროს ვცდილობთ თანამდებობას ჩამოვაცილოთ ისეთი მუშაკები, რომლებიც ვერ ამართლებენ პარტიისა და ხალხის ნდობას, თავს ვერ ართმევენ დაკისრებულ მოვალეობას, იჩენენ უპასუხისმგებლობას, ცხოვრობენ ცოდნის ძველი „ბაგაჟით". სწორედ ამიტომ მოხდა, რომ მარტო გასულ წელს თანამდებობიდან გათავისუფლდა პარტიის რაიკომის 32 ნომენკლატურული მუშაკი.

უკეთ რომ ვფლობდეთ ადგილებზე ვითარებას, სწორად რომ განვსჯიდეთ მას და მუდამ ვიყურებოდეთ წინ — საამისოდ განუზომლად დიდია ინფორმაციის და განსაკუთრებით პარტიული ინფორმაციის როლი. საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი სპეციალური სამსახურის მეშვეობით ყოველდღიურად ვეცნობით სახალხო მეურნეობის დარგებში სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობას. ოპერატიულ ღონისძიებებს ვახორციელებთ ამ მხრივ ჩამორჩენის ან შეფერხების აღსაკვეთად, რისთვისაც ვიყენებთ პარტიულ აქტივს, საქმის კურსში ვაყენებთ ზემდგომ ორგანოებს, მომწოდებელ და გამსაღებელ ორგანიზაციებს. ურიგო შედეგს როდი გვაძლევს უდღისწესრიგო ბიუროების ჩატარება, სადაც მთელი პრინციპულობით გვიხდება ხოლმე ლაპარაკი მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებზე.

დღეს გაკეთებულზე ცოტა მეტს ვამბობთ, რადგან ერთგვარად ვაჯამებთ მას. მაგრამ ნაკლიც კვლავ ბევრი გვაქვს. ამის შესახებ პირუთვნელად და პრინციპულად გვქონდა საუბარი პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ამ ცოტა ხნის წინათ გამართულ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე და 49-ე რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე. შემუშავებულია მუშაობის კომპლექსური გეგმა მთელ რიგ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

გასულ წლებში ბევრი დადგენილების მიღების მიუხედავად დღესაც მდგომარეობა რკინიგზის ტრანსპორტზე მაინც არასახარბიელოა: სერიოზული შეცდომებია კადრების შერჩევასა და განაწილების საქმეში, კვლავ ხშირია ვაგონების მოცდენები, ირღვევა მატარებლების მოძრაობის გრაფიკები, ბევრი ნაკლია მგზავრთა მომსახურებაში. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მოსახლეობის სატელეფონო და რადიომომსახურებაში. კვლავ ვერ შევასრულეთ ბოსტნეულის დამზადების გეგმები ასორტიმენტის მიხედვით, ასევე ხილის მოყვანის გეგმა. სათანადოდ არ იზრდება მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა, ძვირი ჯდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, მეტი შემტევობა გვმართებს მუქთახორობასთან, სხვა ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლაში.

რა თქმა უნდა, ნაკლოვანებანი უფრო ცოტა გვექნებოდა, მეტი გაბედულებით რომ ვიყენებდეთ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნაცად იარაღს კომუნისტების გამბედაობისა და სიფხიზლის გასაძლიერებლად. ადმინისტრაციის საქმიანობაში სუსტი პარტიული კონტროლის შედეგია, რომ გასულ წლებში სერიოზულ დარღვევებს ჰქონდა ადგილი რკინიგზის მუშათა მომარაგების სამტრედიის განყოფილების, ჩაის ფაბრიკის, საშენ მასალათა კომბინატის, რკინიგზის სადგურის, №166 პროფტექნიკური სასწავლებლის, დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის, სამედიცინო გაერთიანების და სხვა ორგანიზაციების მუშაობაში. ამის გამო პარტიის რაიკომს უმკაცრესი ზომების მიღება მოუხდა.

მომავალში სერიოზული მუშაობა დაგვჭირდება მთელს ჩვენს საქმიანობაში ფორმალიზმის ელემენტების აღმოსაფხვრელად, დადგენილებების რაოდენობის შესამცირებლად, კომისიებისა და ჯგუფების შექმნით გატაცების შესანელებლად.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში ბოლო ხანს ბევრი საინტერესო და მეტად სასარგებლო ფორმა დაინერგა. ერთ-ერთ ასეთ ფორმად სისტემური ანალიზების შედგენა მიგვაჩნია. მაგრამ, ჩვენი აზრით, უმჯობესია სისტემური ანალიზები შედგეს არა ერთი წლის, არამედ უფრო ხანგრძლივი ვადით — ხუთწლედის მანძილზე ან კონფერენციიდან კონფერენციამდე ჩატარებული მუშაობის მიხედვით.

კარგად, ხალისიანად დაიწყეს ეს ახალი წელი სამტრედიის რაიონის მშრომელებმა, რომლებმაც იანვრის გეგმა საქართველოს კომპარტიის ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულეს. ამჟამად რაიონში არ არის არცერთი ჩამორჩენილი საწარმო თუ ორგანიზაცია... ახალი პატრიოტული თაოსნობა იშვა სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად — ორი თვის დავალება საბჭოთა კომუნისტების დიდი ფორუმის გახსნის დღეს შესრულდება. რაიონის სახალხო მეურნეობის დარგები ერთი დღის განმავლობაში დაზოგილი ნედლეულით იმუშავებენ.

პარტიის საყრილობო დოკუმენტების ფართო განხილვა კიდევ უფრო მეტ შინაარსსა და საქმიანობას მატებს სამტრედიელთა მთელს შრომასა და აღმშენებლობას, ისინი ყოველმხრივ მზად არიან იმ საპატიო და პასუხსაგებ ამოცანათა შესასრულებლად, რომლებსაც საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობა დასახავს.

თ. იმედაძე,
საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი

# მეფოლადე — ძე მეფოლადისა

როცა ცეცხლთან და რკინასთან ნაბრძოლი მემარტენეები გარდასულ დღეებზე ჩამოაგდებენ სიტყვას, უთუოდ მოიგონებენ ხოლმე მიხეილ სპანდერაშვილსაც, ფოლადის დნობის დიდოსტატს და უებრო დამრიგებელს, კაცს, რომელმაც პირველი თაობის სახელგანთქმულ ქართველ მეფოლადეებთან — ლეგენდარულ ამირან ფანცულაიასთან, გიორგი სიგუასთან, შოთა შუბითიძესთან და სხვებთან ერთად თავის დროზე საფუძველი ჩაუყარა მარტენის საამქროსა და მთლიანად საწარმოს კოლექტივის უმდიდრეს შრომითს ტრადიციებს. ბედნიერი იყოო, დასძენენ, ვიდრე იცოცხლა, ყველას უყვარდა, წავიდა და მის საყვარელ საქმეს ღირსეულად განაგრძობს მისივე პირმშო.

ცხადია, თამაზი თავის სახელოვან მამას ჰგავს, მისებრ ღიმილიან-სალმიანია, უყვარს კოლექტივი, მეგობრები და მეფოლადის ცეცხლოვანი პროფესია, მამასავით მტკიცე მარჯვენა, ამტანობა და მემარტენისათვის აუცილებელი აღღოიანობა დაჰყოლია ქუდბედად.

საამქროს უფროსი მერაბ მუმლაძე და პარტბიუროს მდივანი იური გოგრიჭიანი თამაზში ხედავენ თავიანთ ერთგულ თანაშემწეს და ავტორიტეტიან კომუნისტს, რომელსაც შეუძლია პირადი მაგალითით აღაფრთოვანოს და აიყოლიოს კოლექტივის ახალგაზრდა წევრები. მოწინავე მეფოლადის სიტყვას ოქროს ფასი აქვს, რადგან ეს სიტყვა ლიტონი დაპირება ან ცარიელი მოწოდება როდია — მას ყოველთვის საქმე უმაგრებს ზურგს.

17 წლის ბიჭი იყო, ქარხანაში რომ მოიყვანა მამამ. მოვიდა და მას შემდეგ სხვა პროფესიაზე არც უოცნებია — ერთხელ და სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ცხოვრება მეტალურგთა სახელოვან კოლექტივს. 1976 წელს, როცა უკვე ჯანგატეხილი მიხეილ სპანდერაშვილი იძულებული შეიქნა გამოსთხოვებოდა მშობლიურ საწარმოს, თამაზმა შეცვალა სახელოვანი მამა — მისეულ № 4 ღუმელთან დადგა მეფოლადედ. ერთი წლის შემდეგ ამაგდარი უფროსი სპანდერაშვილი გარდაიცვალა, მაგრამ მისი ხსოვნა ცოცხლობს არა მარტო ახლობლებისა და მეგობრების გულში, არამედ შვილის საქმეშიც.

რუსთავის XXIV საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე, რომელზეც თამაზ სპანდერაშვილი თავის უფროს მეგობარ ოთარ ლომიძესთან ერთად საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატად აირჩიეს, ახალგაზრდა მეფოლადემ ივალდებულა ქვეყნის კომუნისტთა ფორუმს 27 ჩქაროსნული ნადნობი და 300 ტონა ზეგეგმითი ფოლადი მიუძღვნას.

ა. კორძაია,
„კომუნისტის" შტატგარეშე კორესპონდენტი.



სურათზე: თ. სპანდერაშვილი.
გ. ჯანიკაშვილის ფოტო.



# მიზნობრივი კომპლექსური პროგრამები

## მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის კონცენტრაციის მთავარი იარაღი

1985 წლის აპრილის პლენუმზე და ივნისის თათბირზე სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოველმხრივი დაჩქარება ჩვენი პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის ძირეულ საკითხად ცნო.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების პროექტი გულისხმობს საწარმოო ძალების თვისებრივი გარდაქმნის ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის რელსებზე ეკონომიკის გადაყვანის მთავარი პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანის გადაწყვეტას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გაზრდასა და სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების ორიენტაციის გაძლიერებას.

ისევე როგორც წინა ხუთწლედში, სახალხო მეურნეობის დარგებში დასახული საბოლოო მიზნების მისაღწევად მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის კონცენტრაციის მთავარ იარაღად რჩება მიზნობრივი კომპლექსური მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამები, რომლებიც მეთორმეტე ხუთწლედში ჩამოყალიბებულია სახალხო-სამეურნეო კომპლექსების — აგროსამრეწველო, ენერგეტიკული, მანქანათმშენებელი და სხვა კომპლექსების მიხედვით.

**დღეს საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ სამ მნიშვნელოვან პროგრამაზე, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად შემუშავდა. ეს გახლავთ რესპუბლიკაში საგარეო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნის; მეცნიერულ-ტექნიკური ღონისძიებების საფუძველზე ვიწრო, წარმოების შემზღუდველი ადგილების ლიკვიდაციისა და ხელის შრომის გამოყენების შემცირების პროგრამები. ამ სამივე პროგრამას სადარგთაშორისო ხასიათი აქვს და გულისხმობს წარმოების ტექნიკური დონის არსებითს ამაღლებას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.**

რესპუბლიკაში ყოველდღიური ყურადღება ეთმობა მრეწველობის პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლების, ხარისხისა და საიმედოობის გაუმჯობესების საკითხებს. მეთერთმეტე ხუთწლედში უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილი რესპუბლიკაში ატესტებული მთელი პროდუქციის 45 პროცენტს აღემატებოდა და ამ მაჩვენებლის მიხედვით ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთ მოწინავე ადგილზე გავედით. მაგრამ პროდუქციის ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესების საქმეში, საგარეო ბაზარზე მის კონკურენტუნარიანობაში ჩვენ ჯერ კიდევ დიდი ნაკლოვანებანი გვაქვს მთელ რიგ სახეობათა პროდუქცია ხარისხისა და საიმედოობის მაჩვენებლებით ჩამორჩება მოწინავე საბჭოურ და საზღვარგარეთულ ანალოგებს. მაგალითად, ეშ-188 ელექტრომტაბელერი, რომელსაც „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანება უშვებს, მოკლებულია კონკურენციის უნარს ცუდი ეკონომიკური და ესთეტიკური მაჩვენებლების გამო; სახარატო ხრახნსაჭრელი ჩარხი, რომელსაც „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანება უშვებს, მთელი რიგი მნიშვნელოვანი პარამეტრების მიხედვით, როგორიცაა შპინდელის ბრუნვის მაქსიმალური სიხშირე, შპინდელის ხვრელის დიამეტრი, მასა, ხმაურის დონე და სხვა, ჩამორჩება საბჭოურ და საზღვარგარეთულ ანალოგებს; „კოლხეთის“ ტიპის წყალქვეშაფრთიანი გემები, რომლებსაც ფოთის ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელ-გემთსაშენებელი ქარხანა უშვებს, საუკეთესო ანალოგებს ჩამორჩება შიდა მოპირკეთებით, სტაბილიზაციის მაჩვენებლებითა და სხვა; ვპლ-20 კ მარკის ყურძნის გადასამუშავებელი ხაზი, რომელსაც „საქმრეწვმანქანის“ ორჯონიკიძის სახელობის საწარმოო გაერთიანების მანქანათსაშენებელი ქარხანა უშვებს, ანალოგებს ჩამორჩება ლითონტევადობისა და ხანგამძლეობის მაჩვენებლებით.

ეს ნუსხა შეგვიძლია განვაგრძოთ.

ამიტომ საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებთან, დაინტერესებულ უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად, გაითვალისწინა რა ტექნიკური დონის შეფასებისათვის მუშაობის შედეგები რომელიც მუდმივად წარმოებდა წინა ხუთწლედის წლებში, შეიმუშავა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების პროდუქციის ხარისხის და კონკურენტუნარიანობის გაზრდის ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც საფუძვლად დაედო შესაბამის მიზნობრივ კომპლექსურ პროგრამას, რომლის ავტორები არიან საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს რწმუნებულის სამმართველო დაინტერესებულ სამრეწველო-საწარმოებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან, სამეცნიერო და საპროექტო ორგანიზაციებთან ერთად.

პროგრამა ითვალისწინებს ცალკეულ საწარმოთა მიხედვით განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია პროდუქციის წარმოების ტექნიკური დონის ამაღლება თანამედროვე დიდმწარმოებლური ტექნიკის გამოყენებით, ახალი პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვით, ნაკეთობათა კონსტრუქციის გაუმჯობესებებითა და სხვა გზით. მან მოიცვა 25 სამრეწველო გაერთიანება და საწარმო, 23 სამეცნიერო და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაცია. სამუშაოთა შემუშავებული კომპლექსი გულისხმობს 200 ღონისძიებაზე მეტი განხორციელდეს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

უეჭველია, აღნიშნული პროგრამის დავალებათა რეალიზაცია საგრძნობლად გააქტიურებს პროცესებს რესპუბლიკის მრეწველობის ბევრ დარგში და რეალურად შეუწყობს ხელს წარმოებიდან მოძველებული ტექნიკის მოხსნის ტემპის დაჩქარებას და ახალ სახეობათა პროდუქციის ათვისებას.

იმ „ვიწრო ადგილების“ ლიკვიდაციის პროგრამა, რომლებიც ზღუდავენ წარმოების განვითარებას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, შეიმუშავეს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სახმშენმა და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, „ვიწრო ადგილების“ პასპორტიზაციისათვის მუშაობის პირველი ეტაპი ექსპერიმენტის სახით განხორციელდა ქალაქ ქუთაისში და თბილისის საქარხნო რაიონში. აღნიშნული სამრეწველო რაიონები იმიტომ ავირჩიეთ, რომ აქ წარმოდგენილია სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის საწარმოთა ფართო გამა და ეკონომიკური ექსპერიმენტების საკმარისი გამოცდილებაც აქვთ.

შემუშავებული ფორმებისა და მაჩვენებლების, აგრეთვე მთლიანად რესპუბლიკაში პასპორტიზაციის მოწყობის მეთოდიკისა და „ვიწრო ადგილების“ სალიკვიდაციოდ ოპტიმალური მეცნიერულ-ტექნიკური ღონისძიებების შერჩევის აპრობაციამ წარმატებით ჩაიარა და ექსპერიმენტის შედეგები მოიწონეს რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ჯ. პატიაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირი და ამ თათბირზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე შეიქმნა 18 რეგიონალური კომისია და დამტკიცდნენ მათი ხელმძღვანელები. რეგიონალური კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახმშენის პასუხისმგებელი მუშაკები, აგრეთვე წამყვანი მეცნიერი მუშაკები, პრაქტიკოსი სპეციალისტები და წარმოების მოწინავენი. „ვიწრო ადგილების“ პასპორტიზაციისათვის ადგილობრივ მუშაობას სათავეში ჩაუდგნენ პარტიული კომიტეტების პირველი მდივნები.

1985 წლის ოქტომბრის თვეში რეგიონალურმა კომისიებმა უშუალოდ ადგილებზე შეისწავლეს წარმოების მდგომარეობა „ვიწრო ადგილების“ გამოვლენის მიზნით, დასახეს პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის, ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების, ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი მოწყობილობის მქონე მოქმედი საამქროებისა და უბნების ტექნიკური განახლების საფუძველზე მათი ლიკვიდაციის ოპტიმალური გზები.

საერთო ანგარიშით რესპუბლიკის საწარმოებში ათასზე მეტი მთავარი „ვიწრო ადგილი“ განისაზღვრა. შემდეგ აღნიშნული მასალები დამუშავდა რესპუბლიკურ და საკავშირო სამინისტროებში და უწყებებში, აგრეთვე რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში და მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში სამინისტროებისა და უწყებების რეალური შესაძლებლობების, აგრეთვე შესაბამისი საპროექტო-საკონსტრუქტორო და სამეცნიერო ნამუშევრების შემუშავების მხრივ საპროექტო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, აღნიშნულ ღონისძიებათა რიცხვი ხუთასამდე გაიზარდა. მაგრამ ამოღებულ ღონისძიებებს ჩვენ კონტროლი დავუწესეთ და მათ შესაძლებლობის კვალობაზე ჩავრთავთ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიურ გეგმებში.

სახალხო მეურნეობის ინტენსიური განვითარების შემზღუდველი „ვიწრო ადგილების“ სალიკვიდაციოდ სადირექტივო ორგანოების მიერ შემუშავებული და მოწონებული პროგრამის დავალებათა რეალიზაცია საშუალებას მოგვცემს პირობითად 17 ათასი კაცი გამოვათავისუფლოთ და 20 მილიონი მანეთი დავზოგოთ დეფიციტური მასალებისა და ენერგორესურსების ხარჯვის შემცირების გზით. ამასთანავე უზრუნველყოფილი იქნება შრომის ნაყოფიერების ზრდა, პროდუქციის ხარისხისა და შრომის პირობების გაუმჯობესება.

„ვიწრო ადგილების“ ლიკვიდაციის ღონისძიებათა ხარჯები 750 მილიონ მანეთს გადააჭარბებს, ხოლო წლიური ეკონომიკური ეფექტის საერთო ჯამი 250 მილიონ მანეთს მიაღწევს. ამრიგად, ხარჯები უკვე 3 წლის შემდეგ ანაზღაურდება.

ცნობილია, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის წლებში ხელის შრომის მექანიზაციის პროგრამის დავალებათა რეალიზაციის საფუძველზე ჩვენ შევძელით უშუალოდ მივახლოვებოდით შესაბამის საკავშირო მაჩვენებელს, რომელსაც ხუთწლედის დამდეგს მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებოდით. ხელის შრომის წილი 12 პროცენტზე მეტად შემცირდა და დღეისათვის დაახლოებით 33 პროცენტს შეადგენს. მიმდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია ეს მაჩვენებელი მრეწველობაში 20 პროცენტამდე შემცირდეს.

მესამე პროგრამა მეთერთმეტე ხუთწლედში ხელის შრომის შემცირების კომპლექსური პროგრამის ლოგიკური გაგრძელება და შემდგომი განვითარებაა.

აღნიშნული პროგრამის მთავარი მიზანია კიდევ უფრო შევამციროთ ხელის შრომა სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის დარგებში.

სამივე პროგრამა უზრუნველყოფილია მართვისა და დასახულ ღონისძიებების შესრულებისადმი კონტროლის განხორციელების შესაბამისი მექანიზმებით.

პროგრამის დავალებათა წარმატებით შესრულება დამოკიდებულია ადგილობრივი პარტიული კომიტეტების, ყველა საწარმოსა და გაერთიანების, სამინისტროს და უწყების, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციის კოლექტივებისა და ხელმძღვანელების მიზანდასახულ მეცადინეობაზე და პროგრამით დასახულ ღონისძიებათა რეალიზაციის მთელი პერიოდის მანძილზე ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების გეგმაზომიერ განხორციელებას მოითხოვს.

**Ი. ჟორდანია,**
**საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.**

**სურათზე:** საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფი — საწარმოო გაერთიანება „თბილისრძის“ ოპერატორი ლ. ბახტურიძე, გაერთიანება „სამთოქიმიის“ ოპტიკოსი ი. სარიშვილი, თბილისის ავიასაწარმოს ტუ-154 ხომალდის მეთაური, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. დვალი, მეექვსე რკინა-ბეტონის ქარხნის მეარმატურეთა ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი ფ. თურქიშვილი, „თბილისქალაქმშენის“ მეორე სამშენებლო კომბინატის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. დევდარიანი, „თბილისხელსაწყოს“ ელექტრომემონტაჟე ნ. ჩერტკოვა და „თბილისქალაქმშენის“ მეორე სამშენებლო კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანი ტ. ქართველიშვილი.

ვ. ბენზიურის ფოტო.

**ჟანსუღ ჩარკვიანი**

### უხდება მწვერვალს მეწამული დროშის ფრიალი

ხმალაშვერილო,
გაზაფხულის ცრემლში
ნაბანო,
ტრამალ და ტრამალ
გაბნეულო ოქროს ანბანო,

პირმშვენიერო,
ვეფხვის ტყავში
გამომზირალო,
ზედაზნის მთიდან
სიყვარულის გამო
მყვირალო.

ჯვარზე გაკრულო,
მოლეწილო, შვარდახნეულო,
რა ურჩხულები გაზრდილან
შენ არ გეხილოს..

ხან დაშინებით,
დაძალებით, ხან მოფერებით,
ლვინის მაგიერ
საწამლავი გისვამს
ქვევრებით.

რაც შენ გინახავს,
ალბათ სხვას არ
დასიზმრებია,
იქიდან დღემდე
ისტორიის მკაცრი გზებია.

მაგრამ, ძვირფასო,
შეიცვალა ჟამი ბოროტი,
შენს სამსახურში
ვუჭადრაგად ვდგავართ
ბოლომდის.

გვესმის ილიას
ხმა, რომელიც ჯერ არ
შემკრთალა —
„მარად და ყველგან
საქართველოვ
მე ვარ შენთანა“.

მარად და ყველგან
საქართველოვ შენს ბედს
ვდარაჯობთ,
შენს სიყვარულში
აღმართულა
ყველა ხარაჩო.

ჯერ არასოდეს
არ ყოფილხარ ასე მთლიანი.
უხდება მწვერვალს
მეწამული დროშის ფრიალი.

# კავკასიონის გავლით

## შენდება კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზა

**უკანასკნელი** ხუთი წელი რესპუბლიკის ცხოვრებაში დიდ მშენებლობათა ხორცშესხმითა და წამოწყებით გამოირჩევა. საკმარისია აღინიშნოს, რომ შარშან წარმატებით დამთავრდა ჟინვალის კომპლექსური ჰიდროკვანძის აგება.

და აი, რეალური საფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთ უფრო დიდი მასშტაბის მშენებლობას — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მოიწონა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის შესახებ. დამტკიცდა რკინიგზის გაყვანის მიმართულება, დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები.

კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობა ერთი საუკუნის განმავლობაში აღელვებდა ადამიანებს და კვებავდა მეცნიერულ-ტექნიკურ აზრს.

დროს ყოველთვის კორექტივი შეაქვს ადამიანთა ცხოვრებაში. ეკონომიკურმა მიზანშეწონილობამ კვლავ დააყენა დღის წესრიგში ამ დიდი საქმის განხორციელება. უკანასკნელ წლებში ამიერკავკასიის რკინიგზებზე ტვირთბრუნვა თითქმის ათი მილიონი ტონით გაიზარდა. მეთერთმეტე ხუთწლედში ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა ერთი მესამედით გაზარდეს სამრეწველო პროდუქციის გამოშვება, მნიშვნელოვნად გადიდდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებაც. ასეთი ეკონომიკური აღმავლობა შესაბამისად მოითხოვს სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებასაც. სხვა სიკეთეზე რომ ჯერ არაფერი ვთქვათ, საუღელტეხილო გზა დაახლოებით 1000 კილომეტრით შეამცირებს ტვირთის გადატანას ამიერკავკასიიდან ქვეყნის ცენტრში და პირიქით, ხოლო მგზავრთა გადაყვანას 200 კილომეტრამდე, ამასთან მგზავრობის დრო თბილისიდან მოსკოვამდე შემცირდება 6-7 საათით.

აი, ამიტომ დაევალა „კავკასტრანსის“ საპროექტო ინსტიტუტს (დირექტორი ლ. ჭვარცხავა) კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის ოპტიმალური პროექტის დამუშავება. პროექტის მთავარ ინჟინრად დანიშნეს გამოცდილი სპეციალისტი ნ. სვანიშვილი, რომელიც ამავე ინსტიტუტში 1936 წლიდან მოღვაწეობს.

პროექტზე მუშაობა ინსტიტუტმა დაიწყო 1974 წელს. თავდაპირველად კარგად შეისწავლეს ის ცხრა პროექტი, რომლებიც სხვადასხვა დროს შეიმუშავეს და წამოაყენეს მათმა ავტორებმა. ამათგან „კავკასტრანსის“ საპროექტო ინსტიტუტის მუშაკთა ყურადღება მიიპყრო სამმა — გორის, ქვენამთისა და არხოტის პროექტებმა.

დამპროექტებელთა სამსახურში ჩადგა ტექნიკაც — გადაიღეს ფერადი დოკუმენტური ფილმი, რომელმაც გარკვეული წარმოდგენა მისცა მათ სამივე მიმართულების ავ-კარგზე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დეტალურად შეისწავლეს და დაამუშავეს სამივე ვარიანტი, ამოირჩიეს არხოტის მიმართულება, ხოლო სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საკავშირო სახმშენის საექსპერტო კომისიამ მოიწონა ეს გადაწყვეტილება.

აი, რით არის უფრო ხელსაყრელი და რა უპირატესობა აქვს არხოტის მიმართულებას გორისა და ქვენამთის ვარიანტებთან შედარებით.

არხოტის მიმართულება გამოირჩევა უკეთესი გეოლოგიური პირობით, რელიეფით, გვირაბების, ხიდებისა და ვიადუკების მშენებლობის შესაძლებლობებით; აქ ნაკლებია ზვავები, ღვარცოფები, მცოცავი ფენები. არხოტის ტრასის ერთი მესამედი გადის დაუსახლებელ ადგილებზე, არ კვეთს მას მაგისტრალური გზატკეცილები. არხოტის მიმართულების სამშენებლო ღირებულება ქვენამთისა და გორის მიმართულებებთან შედარებით გაცილებით ნაკლებია.

და ბოლოს, არ შეიძლება არ ვივარაუდოთ ის დიდი ეფექტი, რომელსაც საუღელტეხილო რკინიგზა მოგვცემს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით — იგი ხომ ჩვენი რესპუბლიკის ულამაზეს, მაგრამ თითქმის აუთვისებელ კუთხეს დაგვაკავშირებს, სადაც ალბათ ფართოდ მოიკიდებს ფეხს საკურორტო მშენებლობა და ტურიზმი.

წარმოდგენა რომ გქონდეთ, რა მოცულობის სამუშაოები შესრულდება ძირითადად საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობაზე, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ დამუშავდება 22 მილიონი კუბური მეტრი მიწა, გვირაბებიდან გამოიტანენ ექვს მილიონ კუბურ მეტრ კლდის ქანს, ააგებენ მრავალ ზვავსაწინააღმდეგო ობიექტებს, 72 რკინიგზის ხიდსა და ვიადუკს, 26 ავტოსაგზაო და სარკინიგზო გზაგამტარს, საავტომობილო ხიდებს, 26 გალერეას, რომელთა საერთო სიგრძე სამი კილომეტრი იქნება, 250 მცირე და ხელოვნურ ნაგებობას, თორმეტი ათასი მეტრი სიგრძის სასაყრდენე კედლებს, და, რაც მთავარია, 42 კილომეტრი საერთო სიგრძის გვირაბებს, რომელთაგან ყველაზე დიდი 23 კილომეტრს აღემატება.

კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობა საკავშირო, საერთო-სახალხო საქმეა. ამიტომ გენერალური დამპროექტებლის „კავკასტრანსის“ საპროექტო ინსტიტუტის გარდა, პროექტის სრულყოფაში მონაწილეობენ როგორც რესპუბლიკის, ისე საკავშირო მთელი რიგი კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტები.

უკვე განსაზღვრულია ყველა იმ ორგანიზაციის ფუნქცია და დანიშნულება, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ ამ საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობასთან; მათი რიცხვი ოცზე მეტია.

მთელი ტემპით მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები. მარტო შარშან მშენებლებმა აითვისეს ხუთი მილიონი მანეთი. 1986 წელში დაგეგმილია 15-18 მილიონი მანეთის სამუშაოები.

როცა ფართო ფრონტით გაიშლება მუშაობა, ქართველი მშენებლების გვერდით მოწინავე ხაზზე დადგებიან „ბამგვირაბმშენის“ ბრიგადები, მოსკოვის, კიევის, ლენინგრადის, ოდესის, ტაშკენტის, ბაქოს წარმომადგენლები, ჩვენი დიდი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის შვილები.

ჭეშმარიტად ინტერნაციონალური სული და ძალა წარმართავს იმ უზარმაზარ კოლექტივს, რომელიც მოწოდებულია კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწეროს საბჭოთა ქვეყნის შრომითი დიდების მატიანეში.

ასე გასრულდება ეს დიდი საქმე — საუკუნის მანძილზე მარტო ოცნების საგნად რომ იყო ქცეული.

**ნ. ჯაველიძე.**

**სურათზე:** კავკასიონის საუღელტეხილო საავტომობილო მაგისტრალის როკის გვირაბის სამხრეთ კარიბჭესთან.

ლ. გუსოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



## წინსვლის ციფრები

● **1981 წელს** სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობამ 2.177,7 მილიონი მანეთი შეადგინა. ამ წელს რესპუბლიკამ მოიწია ყურძნის უხვი მოსავალი, სახელმწიფომ შეისყიდა 797,2 ათასი ტონა ყურძენი. სახელმწიფოს მიეყიდა 524,6 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი (საგეგმოზე 84,6 ათასი ტონით მეტი), — 170,1 ტონა მარცვლეული — 174,3 ათასი ტონა კარტოფილი და 334,2 ათასი ტონა ბოსტნეული. ამოქმედდა 19,6 ათასი მსხვილფეხა პირუტყვის, ღორისა და ცხვრის სადგომები. გაიზარდა მეფრინველეობის ფაბრიკების სიმძლავრე, 129,1 ათასი მოქცეულითა და 440 ათასი ბროილერით.

● **საექსპლოატაციოდ** გადაეცა 12,8 ათასი ჰექტარი სარწყავი და 6,1 ათასი ჰექტარი დაშრობილი მიწები, გასარწყავდა 6,1 ათასი ჰექტარი საძოვრები. აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში მწყობრში ჩადგა ხობისა და ცხაკაიას ჩაის ფაბრიკები, ზუგდიდის ჩაის საწონი ფაბრიკა, ტყვარჩელის პურის ქარხანა.

● **1982 წელს** სოფლის მეურნეობამ ქვეყანას მისცა 2.107 მილიონი მანეთის პროდუქცია. მოიკრიფა 743 ათასი ტონა ყურძენი — 538,6 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, — 584,9 ათასი ტონა ხილი, — 246,8 ათასი ტონა ციტრუსი, მოწეული იყო 414,6 ათასი ტონა კარტოფილი, — 570 ათასი ტონა ბოსტნეული.

● **1983 წელს** მიღებული იყო ციტრუსების რეკორდული მოსავალი, დამზადდა 345 ათასი ტონა ნაყოფი, რაც 185 ათასი ტონით აღემატებოდა გეგმით გათვალისწინებულს. მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 556 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც 58 ათასი ტონით აღემატება საგეგმოს და 19 ათასი ტონით მეტია 1982 წელთან შედარებით. მოწეული იყო 111 ათასი ტონა შაქრის ჭარხალი, 366 ათასი ტონა კარტოფილი, — 565 ათასი ტონა ბოსტნეული, 697 ათასი ტონა ხილი.

● **აშენდა** და საექსპლოატაციოდ გადაეცა მარნეულის, აბაშისა და ახალციხის კომბინირებული საკვების ქარხნები.

● **წინასწარი** მონაცემებით, თითქმის ყველა რაიონმა შეასრულა საქონლისა და ფრინველის ხორცის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა.

# ის, რაც ვნახეთ, გრანდიოზულია

### უცხოელ სტუმართა თვალით დანახული საქართველო

**ალბათ** არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ჩვენი რესპუბლიკის საზღვარგარეთული კონტაქტები არასოდეს ყოფილა ისეთი ფართო, როგორც განვლილ ხუთწლედში. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის დღეებში, რომლებიც გაიმართა საფრანგეთში, მექსიკაში, მაროკოში და კიდევ მსოფლიოს 18 ქვეყანაში. დიდი წარმატება ხვდა წილად ჩვენი რესპუბლიკის გამოფენებს პლოვდივსა და ლაიფციგში, ვენასა და დელში. ვითარდებოდა საქართველოს ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა უცხოეთის ქვეყნებთან. ჩვენი რესპუბლიკის ასობით წარმომადგენელი, ასრულებდა რა თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას, სამუშაოდ იმყოფებოდა და ახლაც იმყოფება განვითარებად ქვეყნებში.

ამავე დროს არასოდეს ესოდენ დიდძალი საზღვარგარეთელი სტუმარი არ ჩამოსულა. 1981-1985 წლებში საქართველოს მილიონამდე უცხოელი მოქალაქე ეწვია. უცხოელ სტუმართა რიცხვის მიხედვით საქართველომ მესამე ადგილი დაიკავა რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკისა და უკრაინის შემდეგ. ისინი მარტო მოგზაურობის მოყვარულნი როდი იყვნენ. მათ შორის ბევრი იყო თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, უცხოეთის ქვეყნების საქმიანი წრეების წარმომადგენელი.

ამბობენ, უცხო თვალი უკეთ ხედავსო. დღეს ჩვენ სიტყვას ვაძლევთ უცხოელ სტუმრებს, რომლებიც ბოლო წლებში საქართველოს ესტუმრნენ და თავიანთი შთაბეჭდილებანი გაგვიზიარეს.

**კეისონ ფომვიხანი,**
ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე:

„**საბჭოთა** კავშირში მრავალჯერ ვყოფილვარ, მაგრამ საქართველოში პირველად ჩამოვედი, თუმცა ბევრი მსმენია თქვენს რესპუბლიკაზე, დიდ და სასიხარულო ცვლილებებზე, საბჭოთა ხელისუფლების წლებში ეკონომიკისა და კულტურის ყველა სფეროში რომ მოხდა.

ჩვენ საქართველოში ვხვდებოდით მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს, ვსაუბრობდით რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან, ბევრი რამ საინტერესო ვნახეთ და შევიტყვეთ. თქვენ უდიდეს პროგრესს მიაღწიეთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში. მჯერა, რომ საქართველოს მშრომელებს წინ ბევრი ახალი მიღწევა ელით.

გულწრფელი მადლობა გვინდა ვუთხრათ ლაოსის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის წევრთა და პირადად ჩემი სახელით მთელ ქართველ ხალხს, რომელიც გასაოცარი სტუმართმოყვარეობით შეგვხვდა, გულმხურვალედ და პატივით მიგვიღო. ჩვენი ვიზიტი უთუოდ ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირთან და, კერძოდ, საქართველოსთან ლაოსის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას“.

**დანიელ ორტეგა,**
ნიკარაგუის რესპუბლიკის პრეზიდენტი:

„**განსაკუთრებით** წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე საქართველოს ახალგაზრდობამ. ჩვენ ვნახეთ, რა დიდი წვლილი შეაქვს მას რესპუბლიკის აღმშენებლობით შრომაში, როგორ სწავლობს და ისვენებს იგი. სამწუხაროდ, ნიკარაგუელი ქალიშვილები და ჭაბუკები მოკლებული არიან ასეთ შესაძლებლობას. ჩვენი ქვეყანა ახლა ძნელბედობას განიცდის და მისი ახალგაზრდობა იძულებულია იარაღით ხელში დაიცვას სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. მაგრამ ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ რევოლუციას დავიცავთ, ჩვენს ახალგაზრდა თაობას მოვუპოვებთ ასეთივე მშვიდობიანი შრომისა და სწავლის უფლებას.“

**კიმ ენ ნამი,**
კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი:

„**მრავალჯერ** გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობსო, უთქვამთ. ჩვენი თვალით ვნახეთ საქართველოს წარმატებები, ისინი გრანდიოზულია. მათი მოპოვება ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგია. საქართველოს მიღწევები ასევე მკაფიოდ მოწმობს სოციალისტური წყობის, იმ პოლიტიკის უპირატესობებს, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ახორციელებს სსრ კავშირის ყველა ხალხის მიმართ.

საქართველოში ყოფნისას თავს ძმებს შორის ვგრძნობდით“.

**ანტონ ბენია,**
ავსტრიის რესპუბლიკის პარლამენტის ეროვნული საბჭოს პრეზიდენტი:

„**ჩვენ** კმაყოფილნი ვართ, რომ სსრ კავშირში ჩვენი მოგზაურობის პროგრამა ითვალისწინებდა სწორედ საქართველოში სტუმრობას. მასთან გაცნობა თითოეულ ჩვენგანს დიდად გვაინტერესებდა. და, მართლაც, ჩვენ ვნახეთ ქვეყანა, რომელმაც მოკლე ისტორიულ პერიოდში უზარმაზარ ინდუსტრიულ და სოციალურ განვითარებას მიაღწია.

აქ უჩვეულო გულითადობითა და სტუმართმოყვარეობით მიგვიღეს“.

**ლიონელ სოტო პრიეტო,**
კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი, კუბის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში:

„**საქართველოში** მოგზაურობამ თვალნათლივ დამარწმუნა მოკავშირე რესპუბლიკების გრანდიოზულ მიღწევებში, სოციალიზმის მშენებლობის ლენინური იდეების გამარჯვებაში.

საბჭოთა კავშირის, კერძოდ, საქართველოს მაგალითი ფრიად მნიშვნელოვანია ჩვენთვის, კუბელებისათვის. ჩვენ დიდი ინტერესით გავეცანით თქვენს გამოცდილებას, იგი დაგვეხმარება ახალი ცხოვრების მშენებლობაში“.

**აბდ-ელ რაჰმან ხანი,**
იუნიდოს (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის) გენერალური დირექტორი:

„**ჩემზე** ღრმა შთაბეჭდილება დატოვა საბჭოთა საქართველოს ცხოვრების გაცნობამ. მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ქართველი ხალხი ნამდვილი აყვავების ხანას განიცდის. უაღრესად მასშტაბურია სოციალური გარდაქმნები, თქვენს რესპუბლიკაში რომ მოხდა, რომელიც დღეს დიდად განვითარებულია მრეწველობის, კულტურის, მეცნიერების თვალსაზრისით.

ჩემთვის საქართველოს მიღწევები, სადაც სულ 5 მილიონი კაცი ცხოვრობს, ნათელი მაგალითია იმისა, თუ რას შეუძლია მიაღწიოს პატარა განვითარებადმა ქვეყანამ, თუ მას მეგობარი სახელმწიფოები აკრავს და მათი დახმარებითა და მხარდაჭერით სარგებლობს“.

**ჰანს-იურგენ კეზნიკი,**
საარბრიუკენის ობერბურგომისტრი:

„**ჩვენ** ბედს ვუმადლით, რომ პარტნიორად ესოდენ მშვენიერი ქალაქი, თბილისი გვარგუნა.

აქ, საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის კოლოკვიუმზე ჩვენი ქალაქების მეგობრული კონტაქტები პარტნიორ ქალაქებს შორის ურთიერთობის მკაფიო მაგალითად მოიყვანეს. მაგრამ, ჩემი აზრით, ჩვენი ათ წელზე მეტი ხნის პარტნიორობა ქალაქების ფარგლებს გასცდა და მან მჭიდრო მეგობრული კონტაქტებით დააკავშირა დასავლეთ გერმანიის საარის მხარე და საბჭოთა საქართველო“.

**ლეო ლოქშინი,**
კალიფორნიელი (აშშ) ტურისტი:

„**მე** აღშფოთებული ვარ! კიდევ კარგი, რომ საპონიც არ წამოვიღე. ისიც მეყოფა, სამი გირვანქა წამლები რომ ვათრიე ჩემოდნით. ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, ბოგანოსავით რომ წამოვედი! ჩვენი პროპაგანდის ანკესს, რომელიც ამტკიცებს, თითქოს სსრ კავშირში ამერიკელ ტურისტებს ცარიელი დახლები, მათხოვრების ბრბო, ავტომატიანი მძარცველები და ნაგვით სავსე ქუჩები ელოდეთ.

ის, რაც ჩვენ აქ ვნახეთ, მეტი რომ არა ვთქვათ, გრანდიოზულია. გასაოცარია, რა სწრაფად დადგა თქვენი ქვეყანა კვლავ ფეხზე ისეთი დამანგრეველი ომის შემდეგ, როგორიც მეორე მსოფლიო ომი იყო. ისევე როგორც სხვა ქალაქებში, თბილისში შევხვდი და ვესაუბრე ადამიანებს. და მე მგონია, საბოლოოდ მივხვდი, რა არის თქვენი წარმატების საიდუმლოება: ეს გახლავთ ოპტიმიზმი და მომავლისადმი უსაზღვრო რწმენა“.

პუბლიკაცია მოამზადეს
მ. რონდელმა,
მ. ხანანაშვილმა.

## ყრილობიდან ყრილობამდე

# მუზათა აღმაფრენის წლები

**— რით იყო ღირსშესანიშნავი ყრილობიდან ყრილობამდე განვლილი პერიოდი ქართველი შემოქმედი ინტელიგენციისათვის? — „კომუნისტის" კორესპონდენტის ამ კითხვაზე უპასუხებენ:**

### შოთა ნიშნიანიძე,

**საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი**

**ქართული** მწერლობა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას ეგებება ახალი შემოქმედებითი მიღწევებით, რომელთა შორის უმთავრესია თანამედროვე პროზის გახმაურება საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე.

პოეზიაში იმძლავრა მოქალაქეობრივმა საწყისმა, შეიქმნა თანამედროვეობის ამსახველი მრავალი პოეტური ციკლი, სასიხარულო ფაქტად მიგვაჩნია ნიჭიერი ახალგაზრდა დრამატურგების გამოჩენა, ასევე საბავშვო მწერლობის პროფესიული დონის ამაღლება. დიდი რეზონანსი შეიძინა მხატვრულმა პუბლიცისტიკამ. საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ მთარგმნელობითი ხელოვნების დიდი კულტურული და პოლიტიკური მისია ჩვენი ერის სულიერ ცხოვრებაში.

ბევრი მნიშვნელოვანი პროზაული თუ პოეტური ნაწარმოები გამოიცა მიმდინარე ხუთწლედში, რომლებმაც მკითხველთა მოწონება და სიყვარული მოიპოვეს. ქართული ლიტერატურის უდიდესი აღიარების ფაქტია, რომ ნოდარ დუმბაძეს რომანისათვის „მარადისობის კანონი" ლენინური პრემია მიენიჭა.

შარშან ჩვენი მწერლობის გამოჩენილმა წარმომადგენელმა, ქართული საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიიღო.

დიდ სამამულო ომში, საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავს ღირსეულად შეხვდნენ ქართველი მწერლები, რომელთაც არაერთი მაღალმხატვრული ნაწარმოები უძღვნეს ამ თარიღს. გამოიცა ზეიმისადმი მიძღვნილი კრებულები ქართულ და რუსულ ენებზე — „მუზა ჯარისკაცის ფარაჯაში".

საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობს ქართველი მწერლობა. მწერალთა სასახლეში სისტემატურად იმართება ღონისძიებები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის, რესპუბლიკის ცხოვრებაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს ეძღვნება, აგრეთვე საინტერესო დისკუსიები, განხილვები, შეხვედრები.

გამოდის ქართველ მწერალთა შემოქმედებითი მიღწევების ამსახველი კრებული. გამოიცემა სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისადმი მიძღვნილი პუბლიცისტური ნარკვევების წიგნი, და ქართველ პოეტთა ლექსების კრებული „სიმაღლე".

პარტიის ყრილობა ახალ ამოცანებს დაუსახავს რესპუბლიკის მშრომელებს და ახალ შემოქმედებითი ჰორიზონტებს გადაუშლის ქართულ მწერლობას.

### სულხან ცინცაძე,

**საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი**

**განვლილმა** ხუთმა წელმა ნათელი ფურცლებით შეავსო დღევანდელი ქართული მუსიკის ისტორია. ეს იყო ჭეშმარიტად აღმავლობისა და შემოქმედებითი მიღწევების პერიოდი. ქართველმა კომპოზიტორებმა, მუსიკოს-შემსრულებლებმა თავიანთი ოსტატობით ბევრჯერ აღაფრთოვანეს მსმენელი როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე უცხოეთის საოპერო თეატრებსა თუ საკონცერტო დარბაზებში გამოსვლისას.

აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს თბილისის ზ. ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები მოსკოვში და დიდი აღიარება დედაქალაქის მუსიკალური ელიტის მიერ. ამავე თეატრში ბ. კვერნაძისა და გ. ყანჩელის ოპერების დადგმა, კომპოზიტორ ბ. კვერნაძისათვის რუსთაველის სახელობის პრემიის მინიჭება.

თბილისელებს დიდხანს გაჰყვებათ დიდი თეატრის სახელგანთქმული კოლექტივის გასტროლებით მოგვრილი სიამოვნება.

ქართული მუსიკის დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს ალექსი მაჭავარიანის ბალეტ „ვეფხისტყაოსნის" დადგმა ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში.

დიდი მოწონებით შეხვდა ჩვენი საზოგადოებრიობა სახელოვანი მუსიკოსების ელისო ვირსალაძისა და ლიანა ისაკაძის მიერ საფუძველჩაყრილ მუსიკის კვირეულებს ბიჭვინთასა და თელავში.

შარშან აპრილში გავმართეთ გამგეობის გაფართოებული პლენუმი თემაზე: „მუსიკალური ხელოვნების შემდგომი განვითარების პერსპექტივები განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში". პლენუმის მონაწილეებმა დღის წესრიგში დააყენეს ჩვენი მუსიკალური ცხოვრების მრავალი საჭირბოროტო საკითხი და დასახეს ღონისძიებანი მათს გადასაჭრელად. ნოემბერში ფოთსა და ხობში მოეწყო კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის გასვლითი შემოქმედებითი პლენუმი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრი სსრ კავშირის სახალხო არტისტის ჯანსუღ კახიძის ხელმძღვანელობით, საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი საქართველოს სატელერადიოს სიმებიანი კვარტეტი, რესპუბლიკის წამყვანი მუსიკოს-შემსრულებლები. ქართველ კომპოზიტორებს გულთბილი შეხვედრები ჰქონდათ მშრომელებთან, შესრულდა ქართველ, საბჭოთა და საზღვარგარეთის კომპოზიტორთა სიმფონიური და კამერული ნაწარმოებები. ეს იყო რესპუბლიკის ამ რეგიონის მსმენელთა პირველი შეხვედრა სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან. კონცერტების წარმატებამ ცხადყო, რომ ამგვარი შეხვედრები ძალზე სასარგებლო და საჭიროა და კომპოზიტორთა კავშირი კვლავაც დიდ ადგილს დაუთმობს თავის მუშაობაში მსგავს გასვლით ღონისძიებებს რესპუბლიკის წამყვანი მუსიკალური კოლექტივების მონაწილეობით.

აგვისტოდან მოყოლებული საქართველოს რადიოთი ეწყობა ყოველთვიური რადიოლექციების ციკლი თემაზე „ქართული მუსიკა ყრილობიდან ყრილობამდე", რომელსაც უძღვება საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანი, კომპოზიტორი ნოდარ მამისაშვილი. ამ გადაცემებით რადიომსმენელები გაეცნენ ჩვენი მუსიკალური შემოქმედების წარმატებებს სხვადასხვა ჟანრში.

ფირმა „მელოდიამ" ჩაწერა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დღეებში ყრილობის მონაწილეები და მუსიკის მოყვარულები მიიღებენ გრამფირფიტას ქართველ კომპოზიტორთა იმ ნაწარმოებების ჩანაწერებით, რომლებიც მიეძღვნა ჩვენი პარტიის ამ დიდ ფორუმს.

სკკპ XXVII ყრილობას მიეძღვნება მიმდინარე წლის თებერვალში აფხაზეთის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტების ციკლი აფხაზ და ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების შესრულებით სოხუმში, გულრიფშსა და ტყვარჩელში.

ამავე მოვლენას მიეძღვნება ბავშვთა და მოზარდთა ტრადიციული, რიგით XV საკავშირო კვირეული. ჩვენი მიზანია ამ დიდი მუსიკალური ფესტივალის დღეებში მოზარდი თაობა ვაზიაროთ ქართული და საბჭოთა მრავალეროვნული მუსიკალური კულტურის მიღწევებს, კლასიკური და ხალხური მუსიკის საუკეთესო ნიმუშებს, რომელთა დიდი მხატვრული და ესთეტიკური ღირებულება მოზარდი თაობის მუსიკალურ-ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთ აქტიურ საშუალებად იქცევა.

### ელდარ შენგელაია,

**საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი**

**ჩვენი** პარტიის ყოველი ყრილობა ქვეყნის ცხოვრებაში ისტორიული ნიშანსვეტია, თითოეული ჩვენგანისათვის კი ცხოვრების მთელი ეტაპი.

ის, რაც გაკეთდა, უკვე ისტორიის კუთვნილება ხდება, დასახული კი შეუდარებლად დიდი და რთულია.

დროის მიერ დაყენებული პრობლემები, მისი მაღალმხატვრული ასახვა ყოველთვის იყო და არის საბჭოთა ხელოვანის უპირველესი ამოცანა.

რა თქმა უნდა, ქართულ კინოს, როგორც ჩვენი ქართული ხელოვნების ყველა დარგს, შეუძლია სიამაყით მოახსენოს თავის რესპუბლიკას, რომ განვლილ ხუთწლედში სხვებთან ერთად ჩვენც შეგვქონდა მოკრძალებული წვლილი მშობელი ხალხის დიდ შემოქმედებითს შრომაში.

ამაზე თუნდაც შემდეგი ფაქტები მეტყველებს:

1981 წელი — სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია ფილმს „დათა თუთაშხიასა" და მის შემქმნელ შემოქმედებითს კოლექტივს;

1985 წელი — სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია ფილმს „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი" და მის შემქმნელ კოლექტივს;

1981 წელი — რუსთაველის სახელობის პრემია კინოდილოგიას „ქართველები იტალიაში";

1985 წელი — რუსთაველის სახელობის პრემია ფილმს „წიგნი ფიცისა";

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიები „ხუთწლედის მატიანე" ფილმებს „საქართველო წინ და მაღლა" (1981 წ.), „ენგურის ეპოპეა" (1982 წ.), „დღეს ლამე უთენებია" (1984 წ.) და სატელევიზიო ფილმების სერიალს „საბჭოთა საქართველო" (1985 წ.), საქართველოს ლენინური კომკავშირის ორი პრემია 1982 და 1985 წლებში.

ხუთწლედის მანძილზე გამართულ ხუთ საკავშირო ფესტივალზე სამი მთავარი პრიზი ხვდა წილად ქართულ მხატვრულ ფილმებს „მშობლიურო ჩემო მიწავ" (1981 წ.), „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი" (1984 წ.) და „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა" (1985 წ.).

ბევრი სხვაც იყო გასახარელი. მე არ ვგულისხმობ პრიზებს საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალებზე, რომელთა ჩამოთვლაც დიდ ადგილს დაიკავებდა. უმთავრესად ესენი ახალგაზრდა კინემატოგრაფისტები; საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტის კურსდამთავრებული ახალგაზრდა რეჟისორები არიან, რომელთაც მტკიცედ დაიმკვიდრეს ადგილი ქართულ კინოში: გ. ჩოხელი, თ. ბაბლუანი, დ. სიხარულიძე, დ. თაყაიშვილი და კიდევ ბევრი სხვა.

სასიხარულოა ის გარემოება, რომ ჩვენი ახალგაზრდობა უკვე წამყვან პოზიციებზე გამოდის მხატვრულ, დოკუმენტურ, სატელევიზიო და მულტიპლიკაციურ კინოში. ჩვენთვის ეს გასული ხუთწლიანი პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი და სასიამოვნო ტენდენციაა.

დასაფიქრებელიც გვაქვს: ყველა ჩვენი ფილმი როდი აკმაყოფილებს მოთხოვნებს. მათი მხატვრული დონე ყოველთვის როდი შეესაბამება პრობლემის მნიშვნელობასა და აქტუალურობას, ზოგი კი ალბათ არც თავისი პრობლემატიკით არის დიდად ღირებული. და ამ დროს მთავარი მაინც ჩვენზეა დამოკიდებული. უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ჩვენი შემოქმედებითი პოტენციალი, მხატვრული შესაძლებლობანი მთლიანად გამოვავლინოთ იმ ამოცანების მხატვრულ დამუშავებაში, რომლებიც ჩვენი ხალხის, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების წინაშე დგას.

## მორის ფოცხიშვილი

# ისევ და ისევ

[illegible]

მკვიდროთა მკვიდრობითა,
ოლონდ მშვიდობითა, მხოლოდ მშვიდობითა,
მშვიდობითა შენითა ისევ და ისევ!

პიმნითა ქართულითა, წიგნითა ქართულითა,
სიტყვითა ქართულითა, ჩიტივით მზისკენ!

## ინფორმაცია—86 ● ინფორმაცია—86

### რესპუბლიკის სიახლენი

● **ფოთი.** რკინიგზის ტერიტორიაზე აშენდა ორსართულიანი საბავშვო ბაღი, სადაც ყველა პირობაა შექმნილი ნორჩთა აღზრდა-სწავლებისათვის.

მალთაყვის საკურორტო ზონაში საექსპლოატაციოდ გადაეცა 9-სართულიანი საცხოვრებელი სახლი ფოთის ტორფის მოპოვების გაერთიანების მუშა-მოსამსახურეთათვის. ახალმოსახლეობა იზეიმა 54 ოჯახმა.

კარგი საჩუქარი მიიღეს მელიორატორებმა — „კოლხეთმშენის" ტრესტის ახალ ადმინისტრაციულ შენობაში გაიხსნა კლუბ-ბარი. დარგის მუშაკთა განკარგულებაშია დისკოთეკა, ფერადი ტელევიზორი, სალექციო კინოდარბაზი და სხვა.

● **კასპი.** ხუთსართულიანმა სახლმა, რომელიც ქალაქის ახალ მიკრორაიონში აშენდა, კარი გაუღო პირველ ახალმოსახლეთ.

ახალი ჭერი და ფუძე დალოცეს მდინარე ლეხურის სანაპიროზე აღმართული ხუთსართულიანი სახლის მობინადრეებმაც.

ახალმოსახლეობა იზეიმეს საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმაც — საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი, ნათელი შენობა 140 ნორჩისათვის.

● **სოფელ** ახმაჯთან, მდინარე ქსანზე, კასპიდან 17 კილომეტრის დაშორებით, მძლავრი სათავე ნაგებობა აღიმართა.

ამ დღეებში მეცემენტეთა ქალაქმა სწორედ აქედან მიიღო სასმელი წყალი, რომელიც ათეული წლების მანძილზე ასე უჭირდა ქალაქს.

ქალაქის მოსახლეობისა და მრეწველობის ზრდის გათვალისწინებით სასმელი წყლის პრობლემა საუკუნის მანძილზე აღარ შეაწუხებს კასპელებს.

● **ჭიათურა.** მდინარე გეზრულის ხეობაში კარგა ხანს გუგუნებდნენ ბულდოზერები, ექსკავატორები, თვითმცლელი ავტომანქანები... გზის მშენებლები გულიანად მოეკიდნენ საქმეს — ორცვლიანი მუშაობა დააწესეს, დასვენების დღეც სამუშაოდ გამოაცხადეს, და აი, ასრულდა ქვედაგეზრულელთა ნატვრა — ოდესღაც წერაქვითა და ნიჩბით გაყვანილი საცალფეხო გზა თვალსა და ხელს შუა გაქრა — გაფართოვდა და კეთილმოეწყო.

● **ზესტაფონი.** ფეროშენადნობთა ქარხნის №5 საამქროში გაიხსნა მუშათა სასადილო ბუფეტითა და ვრცელი სასადილო დარბაზით. 56-ადგილიანი ობიექტი ცვლების მიხედვით ემსახურება საამქროს მუშა-მოსამსახურეებს.

● **ყვარელი.** შაქრიანი, მართლაც და, არწივის ბუდესავით რომ მიჰკვრია კავკასიონის კალთას, რაიონის ცენტრს ყველაზე დაშორებული სოფელია.

გამრჯე ადამიანთა წყალობით, რომლებსაც თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ გრემის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის საერთო წარმატებაში, დღითი დღე მშვენდება და მხრებს შლის ერთ დროს დაცლის პირამდე მისული სოფელი — მომრავლდა თანამედროვე პროექტით ნაგები ორსართულიანი სახლები, რომელთა რიცხვმა უკვე 170-ს მიაღწია.

შაქრიანელები მტკივნეულად განიცდიდნენ უტელეფონობას, და აი, აქაც აწკრიალდა ელსმენი — ამოქმედდა 50-ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური.

● **საჩხერე.** სატყეო მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთათვის გაიხსნა სასადილო, რომელიც ერთდროულად 50 კაცს მოემსახურება. მალე აქვე ფურნეც ამოქმედდება.

გორიჯვრელებს ძალზე აწუხებდათ უგზოობა, განსაკუთრებით — ზამთრობით. და აი, ამ დღეებში ექვსკილომეტრიანი კეთილმოწყობილი სამანქანო გზის მშენებლობის დამთავრება იზეიმეს.

## მეძღვნება ყრილობას

**გუშინ** თბილისის ჟურნალისტთა სახლში გაიხსნა რესპუბლიკის ფოტოჟურნალისტთა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც ეძღვნება საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას.

**სურათებზე:** გამოფენის ექსპონატები — მ. დათიკაშვილის; დ. იაკობაშვილის, ზ. დათუაშვილის, შ. აივაზოვის, გ. ვახტანგაძის და ჯ. ლომაძის ნამუშევრები.













## წინსვლის ციფრები

● **საქართველო** მძლავრი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის რესპუბლიკაა. 280-ზე მეტ სამეცნიერო დაწესებულებაში თანამშრომლობს სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშაკთა სამი პროცენტი, მათ შორის 26,6 ათასი მეცნიერი მუშაკი.

● **წარმოებაში** მეცნიერული-კვლევის შედეგების დანერგვის მეოხებით მეცნიერებათა აკადემიამ მეთერთმეტე ხუთწლედში 270 მილიონი მანეთის ეკონომიკური ეფექტი მიიღო.

● **რესპუბლიკის** მეცნიერთა ღვაწლის დაფასების კიდევ ერთ გამოხატულებად იქცა ის ფაქტი, რომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებად აირჩიეს ქართველი სწავლულები ე. ხარაძე, თ. გამყრელიძე, წევრ-კორესპონდენტებად — გ. სვანიძე, ა. თავხელიძე.

● **ხუთწლედის** მანძილზე 35.157 პატარამ მიაშურა ახალ ბაგებსა და ბაღებს, რესპუბლიკას შეემატა 110.838 მოსწავლისათვის გათვალისწინებული საშუალო სკოლები. ამას გარდა, კოლმეურნეობათა ხარჯებით აიგო 6.900 მოსწავლისათვის გათვალისწინებული 22 სკოლის შენობა.

● **რესპუბლიკის** პროფტექნიკური განათლების სისტემას 32 ახალი სასწავლებელი შეემატა.

**ყაბახი**

## სატურნირო ორბიტა

**ჭადრაკი.** მინსკსა და ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგში გრძელდება მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები. მინსკში ანდრია სოკოლოვისა და რაფაელ ვაჰანიანის მეექვსე პარტია, მართალია, ამ უკანასკნელის უპირატესობით გადაიდო, მაგრამ იგი 82-ე სვლაზე ყაიმით დასრულდა. ახლა ანგარიშია 4,5:1,5 სოკოლოვის სასარგებლოდ. ტილბურგში კი არტურ იუსუპოვმა და ჰოლანდიელმა იან ტიმანმა მეოთხე პარტია გაითამაშეს. მე-40 სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ. ამ მატჩში ანგარიში გახდა 2,5:1,5 ტიმანის სასარგებლოდ.

**კალათბურთი.** ვაჟთა გუნდებს შორის ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში კაუნასის „ჟალგირისის" უახლოესმა მეტოქემ ზაგრების „ციბონამ" საკუთარ მოედანზე მიიღო საფრანგეთის „ლიმოჟი" და იგი დაამარცხა ანგარიშით 116:106. „ციბონას" ხუთი კალენდარული მატჩის შემდეგ 9 ქულა აქვს (4 გამარჯვება).

**ჩოგბურთი.** აშშ-ს ქალაქ ვიჩიტაში დაწყებული ქალთა საერთაშორისო შეჯიბრების პირველ წრეში ლვოველმა ლარისა სავჩენკომ დაამარცხა ბარბარა დერკენი — 3:6, 6:4, 7:5, ხოლო მოსკოველმა სვეტლანა პარხომენკომ დათმო შეხვედრა იზაბელა დემონჟთან (საფრანგეთი) — 5:7, 6:7. ჰელსინკში კი მიმდინარეობს სამეფო თასის გათამაშება ვაჟთა გუნდებს შორის. სსრ კავშირის ნაკრებმა პირველი წრის შეხვედრა ავსტრიელებთან გამართა და იგი მოიგო ანგარიშით 2:1. საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში არიან ალექსანდრე ვოლკოვი, სერგი ლეონიუკი, ანდრია ოლხოვსკი და გიორგი ძელდი.

**ველოსპორტი.** ვენესუელის გზებზე დამთავრებულ ტრადიციულ საერთაშორისო მრავალდღიან ველორბოლა „ტაჩირაში" (1424 კმ) გამარჯვება მოიპოვა კუბელმა სპორტსმენმა ედუარდო ალონსომ. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო ხარკოველი სერგი ბატიუროვი, რომელიც მეექვსე ადგილზე გამოვიდა.

## საყრილობო წიგნის თარო

**„საბჭოთა საქართველო":** გამომცემლობამ წინასწარ შეიმუშავა თემატიკა და შემოიღო სპეციალური სერია — „სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად". ამ სერიით უკვე გამოიცა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორების, პროფესორების ვ. მერკვილაძის „ლენინური პარტია საბჭოთა ხალხის ავანგარდია" და რ. ჯრბელიძის „აღვზარდოთ მტკიცე პატრიოტ-ინტერნაციონალისტები", ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის დ. მეტუკის „სკკპ ხელმძღვანელი როლის ზრდა განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში" და სხვ.

გამოიცა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მეცნიერული ბიოგრაფიები.

იდეოლოგიურ მუშაკთა ფართო წრე, პროპაგანდისტები, პარტიული სწავლებისა და ეკონომიკური განათლების სისტემის მსმენელები, პედაგოგები და სტუდენტები ინტერესით გაეცნობიან ცნობარს „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობები და კონფერენციები", რომელშიც გაშუქებულია პარტიის ოცდაექვსივე ყრილობა და კონფერენციები. პარალელურად მომზადდა „საქართველოს კომპარტიის ყრილობები", დოკუმენტების კრებული „საქართველოს კომუნისტური პარტია ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში" V ტომი, რომელიც 1980-1985 წლებს მოიცავს; გამოიცა ცნობარი „სკკპ ორგანიზაციულ-საწესდებო საკითხები", რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს პირველადს პარტიულ ორგანიზაციათა მდივნებს, პარტბიუროებისა და პარტიული კომიტეტების წევრებს, განსაკუთრებით ახლად არჩეულ ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკებს; კომუნისტთა სოციალურ შემადგენლობას, მათს განაწილებას სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით, ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა განათლებას, მუშაობის სტაჟსა და სხვა საინტერესო სტატისტიკურ ინფორმაციას შეიცავს კრებული „ყრილობიდან ყრილობამდე"; მკითხველმა უკვე მიიღო კრებული „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სრულყოფის ხანგრძლივი პროგრამაა"; დამთავრდა „საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევების" გამოცემა, რომელიც სამ ნაწილს მოიცავს. ესენია: „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში (1883-1921 წლები)", „ბრძოლა სოციალისტური საზოგადოების აშენებისა და განვითარებისათვის (1921-1970 წლები)" და „განვითარებული სოციალიზმის სრულყოფისათვის ბრძოლაში (1971-1985 წლები)"; იბეჭდება გაზეთ „პრავდის" საკუთარი კორესპონდენტის გ. ლებანიძის წიგნი „დაძლევა", რომელშიც თავმოყრილია „პრავდაში" გამოქვეყნებული მასალები „საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების მიღებიდან დღემდე.

სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობის ძირითად მიმართულებებზე მოგვითხრობენ სტატიათა ავტორები კრებულში „პარტიული ხელმძღვანელობის აქტუალური საკითხები";

„საბჭოთა საქართველოს" ქუთაისის ფილიალში მომზადდა და მკითხველი ყრილობის დღეებში მიიღებს ქართველ პოეტთა ახალი ლექსების კრებულს „სადიდებელი, მამულო შენი".

**„მერანი":** რესპუბლიკის კომუნისტთა ფორუმს ეძღვნება ქართველ პოეტთა ლექსების ახალი კრებული „სიმაღლე". მკითხველი ინტერესით გაეცნობა კრებულს „დრო, ცხოვრება, პრობლემები", რომელშიც თავმოყრილია ცნობილ ავტორთა მოთხრობები თუ პუბლიცისტური ნაწარმოებები. მშვიდობის დაცვის მარადიულ თემას ეხმიანება მხატვარ ა. სარჩიმელიძის ფერადი პლაკატი, რომელსაც პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსის სტრიქონები ამშვენებს.

ხუთწლედის მატიანის სერიით რუსულ ენაზე გამოვა მწერალ ამირან აბშილავას ვრცელი მხატვრულ-პუბლიცისტური ნარკვევი „მოვდივარ ფაზისიდან"... რომელიც ფოთის ექსპერიმენტს აშუქებს; სერიით „80-იანი წლების კომუნისტები" გამომცემლობა ყრილობის დღეებშივე სთავაზობს მკითხველს გაზეთ „სოვეტსკაია კულტურის" საკუთარი კორესპონდენტის ია მუხრანელის ნარკვევთა კრებულს.

## მოსკოვი

**24 იანვარი**

**პირველი პროგრამა.** 9.00 — „ვრემია". 9.40 — კონცერტი. 10.10 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 10.40 — გააკეთე ჩვენთან ერთად, გააკეთე ჩვენსავით, გააკეთე ჩვენზე უკეთ. 11.40 — დოკუმენტური ტელეფილმი. 12.10 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ფილმები ულიანოვების ოჯახის შესახებ. 16.30 — რუსული მეტყველება. 17.00 — ახალი ამბები. 17.05 — მხატვრული ტელეფილმი „სკოლა". I და II სერია. 19.15 — თანამეგობრობა. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მულტფილმი. 20.10 — ამერიკელ ინდიელთა ბედი. 20.30 — პრობლემები — ძიებანი — გადაწყვეტანი. გარემოს დაცვის შესახებ. 22.00 — „ვრემია". 22.45 — კინოპანორამა. 0.15 — დღეს მსოფლიოში.

**მეორე პროგრამა.** 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.35 და 10.35 — გეოგრაფია. VIII კლასი. 10.05 და 13.55 — ინგლისური ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ფიზიკა. 11.35 და 12.40 — გეოგრაფია. V კლასი. 12.05 — საბჭოთა მწერლები ვ. ი. ლენინის შესახებ. 13.10 — საზღვარგარეთული სახვითი ხელოვნება. რემბრანდტი. 14.25 — აღზრდა ისტორიის მაგალითებით. თქვენი წერილების მიხედვით. 15.10 — მ. ა. შოლოხოვი. ცხოვრება და შემოქმედება. 16.10 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — „სტუდიაშია მურად კაჟლაევი". 19.45 — რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის წლისთავისათვის. „1905 წლის საბჭოები". 20.15 — ხალხური შემოქმედება. 21.00 — „მილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — რომანსები. 22.00 — „ვრემია". 22.45 — გადაცემის „სალუტ, ფესტივალო!" კვალდაკვალ. 0.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 0.30 — ახალი ამბები.

## ჩვენს ტელეეკრანებზე

## თბილისი

**24 იანვარი**

**პირველი პროგრამა.** 9.00 — „ვრემია". 9.35 — მოამბე. 10.05 — ქართული დოკუმენტური ფილმი. 11.00 — „დიალოგი ყრილობის დელეგატთან" (განმეორებით). 11.55 — ქართული მხატვრული ფილმი „კაშხალი მთაში". 16.05 — საინფორმაციო გამოშვება. 16.35 — კომუნისტები. ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჯოტო გუგუჩია". 17.00 — საბჭოური ცხოვრების წესი — დოკუმენტური ფილმი „რეპორტაჟი მთავარი ქედიდან". 17.10 — ბავშვებისათვის მულტფილმების პროგრამა. 17.55 — მოსწავლეთათვის. „მღერის მართვე". 18.55 — ჩვენი პრემიერა „შემობრუნება". ქართული სატელევიზიო ფილმი (საქართველოს ტელეფილმების სტუდიის ნაწარმოები) 19.30 — მოამბე. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „სიმღერა საქართველოზე". 23.25 — საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დღიური.

**მეორე პროგრამა.** 16.45 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ზღვაური". 17.35 — მხატვრული ფილმი „პარკი".

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 05525 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14